№ 2688
პარასკევი,
3 დეკემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2688
პარასკევი,
3 დეკემბერი

ფასი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტი" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მოკლე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა
114

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი" წელიწადი მეათე
სურათებიანი დამატებით.

კავკასიაში და რუსეთში ერთის წლით 6 მან.

ფასი გაზეთისა გაგზავნით
წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც პირველ მარტამდე.

საზღვარ გარედ ერთის წლით 9 მან.

ყოველ თვიური ჟურნალი „მოამბე" წელიწადი მეთორმეტე

კავკასიაში და რუსეთში 1 წლით 10 მან. ცალკე №—1 მან.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით
ვინც „მოამბე"-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი"

საზღვარ გარედ ერთის წლით 13 მან. ცალკე №—1 მ. 20 კ.

◆ უფასოდ გაეგზავნება ◆

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის", ისე „მოამბის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

დონ-კიხოტი

დორეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია გიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (300 სურათით) პრემიად დარიგებულ ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით. პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კ. წლიურ ფასს გარდა.

გარდა ამისა „მოამბის" წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

მასალები საქართველოს ისტორიისათვის

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის" ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სახლში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе"-„Цнобисъ Пурцели".

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი. (აბონემენტების რიცხვში)

ოთხშაბათს, 8 დეკემბერს, 1904 წ. ქართულ დრამატიულის დასის მიერ, წარმოდგენილი იქნება

◆ **ვალერიან გუნიას ბენეფისად** პირველად **ორი ახალი** პიესა ◆

პირველი ორიგინალური პიესა

ნაოხარზე
ანუ
(ჩვენებური კენჭობანა)
თანამედროვე სურათები 3 მოქმედ. ვალერ. გუნიასი.

მეორე ნათარგმნი პიესა

ახირებული შემთხვევა
ანუ
(ძალად გაგიჟებული)
მხიარული კომ. 2 მოქ. მაქს. გორკისა, თარგ. ვ. გუნიას-მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო, აბაშიძე, გაბუნია-ცაგარელი, ა. კარგარეთელი, ო. ლეჟავა, ნ. ნებიერიძე, ნ. ჯავახოვი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, ი. სარჯველაძე, კ. შათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი, დ. ჩარკვიანი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ლოჟები 2 მან. 50 კ-დან 10 მანეთამდე, პარტერი 60 კაპეიკიდან 3 მან. გალერეა 30 კაპ. 40 კ.
აბონემენტს და საწევრო სეზონის ბილეთებს ძალა აქვთ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე.

ადმინისტრაცია ამხანაგობისა. პიესებს დასდგამს მობენეფისე **ვ. გუნია.**

ქართული წარმოდგენა. ვეტცელის თეატრში

კვირას, 5 დეკემბერს, 1904 წ. ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პატარა კახი

დრამა 5 მოქ. თავ. ა. წერეთლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ლეჟავა, ნებიერიძე; ბ-ნნი სვიმონიძე, ივანიძე, შალიკაშვილი, სარჯველაძე, მატარაძე, ჩარკვიანი, წუწუნავა, საფაროვი, იორდანიშვილი.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ადმინისტრაცია ამხანაგობისა. მორიგი რეჟისორი: **მ. აბაშიძე.**

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.

პარასკევს, 3 დეკემბერს 1904 წელს

წარმოდგენილი იქნება **„პიკოვაია დამა"** ოპერა 3 მოქ. ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: პაპაიანი, დმიტრიევა-პოკასოვსკაია, ხარიტონოვა, ფერარი; მიხაილოვა ბ-ნნი: ლაზარევი, ობრაზცოვი, დემიანენკო, სპერანსკი, ჩალინსკი, ბაგროვი, მურატოვი.

კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
4 დეკემ —„მანონი". გამგე ი. ა. კელლერი.

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

ე ქ ი მ ე ბ ი:

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

მ. ფ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველ დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. ძიმონტი.—ქირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ა. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.

მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველდღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

ზრ. მ. ხოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ და პარასკეობით 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. მ. ხოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ხ. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟევსკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

ე ქ ი მ ი
ი. ი. ზამბურგერი

გრიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—18)

კბილის ექიმი
ვლ. რომანიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—5.—36)

ე ქ ი მ ი
ა. ნ. დიასამიძე

იღებს სიფილისით და ვენერიული სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—17)

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე.

ე ქ ი მ ი
გ. ი. **ტერ-გრიგორიანცი**

შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—27.

მ კ უ რ ნ ა ლ ი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ჟანდარმთის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792.

ე ქ ი მ ი
ი. ა. გოკიელოვი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ე ქ ი მ ი
ა. ნ. თეთრაძე

სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—17)

ე ქ ი მ ი
გ. ა. გედალინი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის და ნერვებისა. ყოველდღე საღამოს 5—8 საათამდე. გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. (30—1)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი

იღებს ყოველგვარ კბილის სნეულებით ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს, უკეთებს პლომბებს და უსხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდაზე. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 საათ. მიხეილის პროსპექტი, № 30. მანველოვის სახლში. (30—399—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
1 დეკემბერი

კაპშტადტი, 1 დეკემბერი. მოსული გემი „კასტილია", რომელიც 22 ნოემბერს წამოვიდა გრეთფიშის ბუხტიდან, იუწყება, ამ დღეს ბალტიის ესკადრა ზემოხსენებულ ბუხტაში იყოო.

ლონდონი, 1 დეკემბერი. გაიაში უარჰყოფს „სტანდარდ"-ში კოპენჰაგენიდან გამოგზავნილ ცნობას იმის შესახებ, ვითომ პორტ-არტურთან გერმანიის და საფრანგეთის საზღვაო აგენტები დაღუპულიყვნენ.

ფერროლი, 1 დეკემბერი. ღელვის დროს ნავთ-სადგურში თავი შეაფარა დაზიანებულმა რუსის ნაღმიანმა გემმა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
1 დეკემბერი

ჩანხიაშუტუნი, 29 ნოემბერი. საზოგადო მდგომარეობა არ შეცვლილა. ნათელი ამინდი დგას; თოვლი თხლადა დევს. აქ დიდის ინტერესით ჰკითხულობენ ცნობებს ბალტიის ესკადრაზე, მაგრამ მაინც ჰფიქრობენ, რომ შეიძლება დიდი, გადამწყვეტი ამბები უესკადროდაც მოხდესო. გაზეთები ცოტა მოსდის ჯარსა, თუმცა რუსეთის ამბებს ყველა გატაცებით ჰკითხულობს აქა.

სტამბოლი, 1 დეკემბერი. კონტრ-ნაღმიან გემ „რეშიტელნი"-ს უფროსი, „რიურიკ"-ის 6 დაჭრილი მატროსი და 34 სანიტარი რუსეთის მეგემეთა საზოგადოების გემით „კოროლევა ოლგა"-თი მოვიდნენ აქა და ხვალ ოდესას მიდიან.

პეტერბურგი, 1 დეკემბერი. საზღვაო მთავარ შტაბის უფროსის თანამდებობის აღსრულება გენერალ-ადიუტანტ როჟესტვენსკის ნაცვლად ვიცე ადმირალ ბეზობრაზოვს დააკისრეს.

ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა, კუბანის ყაზახთა პირველი ეკატერინოდარისა და პირველი უმანის პოლკები და თერგის ყაზახთა პირველი კიზლიარ-გრებენსკისა და პირველი სუნჟის პოლკები შორეულ აღმოსავლეთს გასაგზავნად დაემზადნენო; ამ 4 პოლკს კავკასიის ყაზახთა დივიზია დაერქვას. ამ პოლკების ბატარეებისაგან ერთი დივიზიონი შესდგეს და კავკასიის ყაზახთა არტილერიის დივიზიონი დაერქვას. („რ. ვ.").

სამხედრო საბჭომ დაადგინა და უმაღლესად დამტკიცდა, რომ მე-14, მე-15, მე-25, მე-30, მე-40 და მე-41 ქვეითა დივიზიებისათვის ტყვიის მტყორცნელთა როტები შეადგინონ ომის დროის წესით. („რ. ვ.").

„კენიგსბ. ცაიტუნგ"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: ხმა დადის, ერთი ჩინელი გენ. კუროპატკინის ვაგონის აფეთქებას ცდილობდაო, მაგრამ რუსებმა დაატუსაღეს და თავის განზრახვის შესრულება ვეღარ მოასწროო. („ნ. დ.").

ბ. ნემიროვიჩ-დანჩენკო დეპეშით იუწყება ხარბინიდან: მუკდენში [illegible] მეტად გასჭირდა. ჩინელების ქალაქი ძლიერ შორსაა, იქ მისვლაც-კი მეტად ძნელია. ეხლა სამსავე არმიის შტაბს ადგენენ. უცნაური ხმა დადის, მუკდენის საგენერალ-გუბერნატორო არსდებაო. („რ. ს.").

თუმცა ჩილისა და არგენტინის მთავრობა ოფიციალურად აცხადებენ, ჩვენი სამხედრო გემები არ გაგვიყიდნიაო, გაზეთები მაინც სწერენ, რუსეთმა ნამდვილად იყიდა ამ ორის რესპუბლიკის სამხედრო გემებიო. „ბერლ. ლოკალ ანც."-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: რამდენიმე თვე გაატარეს მოლაპარაკებაში. ჯერ ფასზე ვერა რიგდებოდნენ. შუა კაცებიც დიდ სადალალოს თხოულობდნენ. ბოლოს მორიგდნენ: რუსეთმა 60 მილიონი გემებში მისცა და რამდენიმე მილიონი დალალებს. ნაყიდი გემები ჩინეთის ბაირაღის ქვეშ გავლენ და ადმ. როჟესტვენსკის ესკადრას გზაში შეუერთდებიან. („რ.").

პორტ-არტური. „რუს"-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან, ოფიციალურ იაპონურ მოხსენებაში ნათქვამია: წითელ გორას („კრასნი ხოლმ"-ს) ზარბაზანი დავუშინეთ. რუსები იძულებულნი იყვნენ 23 ნოემბერს წითელი გორა მიეტოვებინათ. იაპონელებმა 2 საათზე იტცეშანი დაიჭირეს. 3 საათზე სანშუც (სანშუჩანი) აიღეს. საღამოს 5 საათის ვადით შერიგება ჩამოაგდეს მოკლულთა და დაჭრილთა გასატანად.

„კენიგსბერგერ ჰარტუნგშე ცაიტუნგ"-ის ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება: იაპონელებმა პორტ-არტურში რუსის სამხედრო გემებს დაუშინეს ზარბაზანი; ერთი გემი ძლიერ გადიხარა გვერდზე, მაგრამ ნისლი იდგა და ვერ გაიგეს, რომელი გემი იყო ეს გემი. ხმა დადის, ჯავშნიანი გემი „პოლტავა" ჩაიძირა და „რეტვიზანი" ძლიერ დაზიანდაო.

იაპონიის არმიის მთავარ-სადგომიდან იუწყებიან: 20 ნოემბერს ჩვენმა საზღვაო ზარბაზნებმა ყუმბარა დაუშინეს რუსის გემებს. „პობედა"-ს 6 ყუმბარა მოჰხვდა, „რეტვიზან"-ის ტიპის ჯავშნიან გემს 8 ყუმბარა და 16 ყუმბარა სხვა გემებს მოჰხვდათ. ზარბაზნის სროლა 22 ნოემბერსაც განვაგრძეთ; „პობედა"-ს კიდევ მოჰხვდა 7 ყუმბარა, „პოლტავა"-სა და „რეტვიზან"-ს—11. ნაშუადღევს ერთი ყუმბარა საწყობს დაეცა პალისუჩანის სამხრეთით და იფეთქა, საწყობს ცეცხლი წაეკიდა და რამდენსამე საათს არ ჩამქრალა. იმავე დღეს დიდი ზარბაზნებიც დავუშინეთ გემებს; ორი ყუმბარა „პერესვეტ"-ს მოჰხვდა. ოთხი ყუმბარა კიდევ „პოლტავა"-ს ტიპის ორს გემს მოჰხვდა, გემებს ცეცხლი გაუჩნდა და მთელი საათი არ ჩამქრალა. („ნ.").

„ლოკალ ანცაიგერ"-ი სწერს: იაპონელები ეხლა უმთავრესად რუსის ფლოტის განადგურებას ცდილობენ. ტოკიოდან მიღებულ დეპეშიდან სჩანს, რომ იაპონელები მარჯვედ აზიანებენ რუსის ესკადრას პორტ-არტურში. 21 ნოემბერს საღამოს ორი თუ სამი გემი დაუზიანებიათ. იაპონელები დარწმუნებულნი არიან, რომ რუსის ფლოტი ან უნდა ზღვაში გავიდეს, ან დაიღუპოსო. („ნ.").

იტალიური ჟურნალი „იტალია მილიტერა" იუწყება, იაპონელებმა „203 მეტრიან გორაზე" 20 საზღვაო ზარბაზანი დადგესო. („ნ.").

ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ უცხოეთის გაზეთებს, იაპონელები პორტ-არტურთან ბეჯითად მუშაობენ და ტრანშეებით ახლო მივიდნენ რუსის პოზიციებთან. ჰფიქრობენ, რომ იაპონელები ეხლა მალე შტურმს მიიტანენ ფორტებზეო.

„203 მეტრიან გორის" აღების გამო იაპონური გაზ. „ჯიჯი" სწერს: „203 მეტრიანი გორა" კიკვანშანის სამხრეთ-დასავლეთითა და ლიაოტეშანის ჩრდილოეთით მდებარეობს. ტყვე რუსები ამბობენ, რუსის ჯარს ძლიერ გაუჭირდა გორის წვერის დაცვა, თუმცა ძლიერ იყო გამაგრებულიო: გორის წვერზე სამი რიგი სიმაგრე იყო გამართული; ამ სიმაგრეებს შუა ეკლიანი მავთული იყო გაბმული; ძირს ორი ტყვიის მტყორცნელი იდგა, მაღლა ერთი. სანგრებს კედლები და გვერდები რკინისა ჰქონდათ; მაღლიდან მიწა ჰქონდათ გადაფარებული. ბატარეები დიდის მოხერხებით იყო დადგმული; გორის წვერზე 6 ზარბაზანი იდგა და ყველა მხარეს ისროდა ყუმბარას. „203 მეტრიანი გორა" გამაგრებულიც ძლიერ იყო და ადგილ-მდებარეობაც მარჯვე აქვს. ეს უძლიერესი ფორტი იყო. მეციხოვნე რაზმის უფროსი პოლკოვნიკი მუდამ გორის წვერზე იდგა. სალდათებს ბძანება ჰქონდათ მიცემული, მტერი ჯერ 203 მეტრის მანძილზე მოუშვით და მხოლოდ მაშინ ისროლეთ თოფიო. („ნ.").

ინგლისელი კორესპონდენტები ასე აგწერენ 203 მეტრიან გორის აღებას. იაპონელებმა თავიანთ მოქმედების ბაზად ჩინელების სოფლები კინკიატუნი და ფინკიატუნი აირჩიეს და სარეზერვო ჯარიც იქ დააყენეს. 14 ნოემბერს ნაშუადღევს იაპონელები ამ სოფლებიდან გავიდნენ და 203 მეტრიან გორას და იმის მეზობლად წითელ გორას დაეცნენ; ჯერ არტილერიამ ზარბაზანი დაუშინა რუსის პოზიციებს, მერე იაპონელი მსროლელნი წინ გაემართნენ. როცა არტილერიამ საკმაოდ დააზიანა რუსის პოზიციები, იაპონელები შტურმით წავიდნენ სიმაგრის წინ გამართულ ტრანშეებზე, მაგრამ ამ დღეს ვერას გახდნენ. მეორე დღეს 203 მეტრიან გორას ზოგან წრე შემოავლეს და წითელ გორას მოსწყვიტეს, მაგრამ 16 ნოემბერს რუსებმა მედგარი იერიში მიიტანეს და იაპონელებს თითქმის მთელი პოზიცია დააცლევინეს. ეგაა იაპონელებმა 203 მეტრიან გორის სამხრეთ-დასავლეთით ზოგიერთ ადგილას მაინც შეინარჩუნეს ტრანშეები. 17 ნოემბერს იაპონელები მთელი დღე ზარბაზანს უშენდნენ გორას, მერე შტურმი მიიტანეს და საღამოს 5 საათზე გაიმარჯვეს კიდევაც. რუსები ძლიერ ეცადნენ პოზიციის დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. ამ გორის აღების შემდეგ რუსის ფლოტი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. („ნ.").

„რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ს. კ. დაწვრილებითა სწერს პორტ-არტურის უკანასკნელ შტურმს: „13 ნოემბერს დაწყებული შტურმი მართლა სერიოზული შტურმი გამოდგა. იაპონელებმა ციხის ჩრდილოეთ და დასავლეთ ფრონტზე მიიტანეს იერიში, მაგრამ გინდ ეს შტურმი სრულის გამარჯვებით გათავებულიყო, იაპონელები ამ ხანად მთელ ციხეს ვერ აიღებდნენ, რადგან შტურმი მხოლოდ უმთავრეს ფორტების პირველ რიგზე იყო მიტანილი, ამ ფორტების უკან-კი მეორე რიგი ძლიერი სიმაგრეა გამართული და შტურმის მიმტანთ ქალაქისა, იმის არსენალებისა და საწყობების აღებას უშლით. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მეორე რიგი სიმაგრე ყველგან ერთნაირად როდია გამაგრებული; ეს იმაზეა დამოკიდებული, რომ ეს ფორტები და სიმაგრეები სხვა და სხვა დროსაა გამართული. როგორც ეხლა იაპონურ და ინგლისურ ცნობებიდან გამოირკვა, პორტ-არტურის სიმაგრეები მტრედისა და ლუიზას ბუხტის მხარეს დასავლეთ ფრონტზე პირველ ხანებში უმთავრესად სამ ჯგუფ ფორტისაგან შესდგებოდა. ეს ფორტები ახალ ქალაქის ჩრდილოეთით მდებარეობენ, პორტ-არტურის ბუხტის ჩრდილოეთ ნაპირას, სახელდობრ: ვანგტაი, ანცზეშანი და იტციშანი; დასავლეთიდან ახალ ქალაქს ფორტი ტაიანკოუ იცავდა. როგორც „ტაიმს"-ში დაბეჭდილ პორტ-არტურის სიმაგრეების აღწერილობიდანა და პლანიდან სჩანს, ეს უმთავრესი ფორტები ზღვის პირად, 120—130 მეტრის სიმაღლე გორებზეა გამართული. ამ ფორტებს ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან „სტოლოვა-ს გორების" ქედი დაჰყურებს მაღლიდან, „სტოლოვი გორებს" 170—200 მეტრის სიმაღლე აქვს, ამ ქედზე პირველი რიგი სიმაგრეა აშენებული; ამათგან „ვისოკაია გორისა", „დლინნაია გორისა", 203 მეტრიან გორისა და „კრასნი გორის" ფორტები, როგორც შტურმის აღწერილობიდან სჩანს, მკვიდრად ყოფილა აშენებული; 203 მეტრიან გორის წვერზე ჯავშნით შემოსილი კოშკებიც ყოფილა აშენებული და შიგ 6-დიუმიანი ზარბაზნები მდგარა. სტოლოვაია გორების სამხრეთით ზღვის მხარეს უდიანშანისა და თეთრის მგლის გორის ფორტებია გამართული; ფორტებ შუა ტყვიის მტყორცნელების და წვრილ მსწრაფლ-მსროლელ ზარბაზნების ბატარეებია დადგმული. აღმოსავლეთ ფრონტზე, როგორც „ტაიმს"-ის ცნობებიდან სჩანს, მეორე რიგ სიმაგრეებს მწყრის გორის („პერეპელინაია გორა", ნავთ-სადგურის ჩრდილოეთით) და არწივის გორაკის („ორლინი ხოლმ", კიკვანშანისა და კიკინშანის უკან) ბატარეები შეადგენენ. პორტ-არტურის დასავლეთ და აღმოსავლეთ სიმაგრეების შუა ის განსხვავებაა, რომ აღმოსავლეთ ფრონტზე პირველი რიგი სიმაგრე ვეშაპის ქედზეა („დრაკონოვ ხრებეტ") გამართული და უფრო ძლიერია, ვიდრე მეორე რიგი სიმაგრე. რადგან, თუ „ტაიმ"-ს დავუჯერებთ, ეს მეორე რიგი სიმაგრე ეხლახანაა აშენებული. დასავლეთ ფრონტზე-კი წინა რიგი, ანუ ნაპირა სიმაგრეები „სტოლოვი გორების" წვერზეა აშენებული და უკანა მეორე რიგ სიმაგრეებზე (ინძუშანი, იტძიშანი და ვანგტაი) სუ-

[illegible] დასავლეთ ფრონტის წინა[illegible]გრეების აღება პორტ-არტურის ბედს ვერ გადასწყვეტს, რადგან მაგარ კლდეში ამოჭრილი ანძუშანისა და იძუშანის ფორტების შტურმით აღება, არა მგონია, რომ შესაძლებელი იყოს; ამ შემთხვევაში პორტ-არტურის ბედი თავდაპირველად იმაზე იქმნება დამოკიდებული, თუ რამდენი სამხედრო და საკვები სურსათია პორტ-არტურში და საკმაოდ ჰყავთ რუსებს ჯარი, თუ არა. მით მაინც 13 ნოემბერს დაწყებულ შტურმის დროს იაპონელებმა ჩრდილოეთ ფორტებს კი არა, სწორედ რკინის გზის დასავლეთით მდებარე ფორტებს, ესე იგი სტოლოვი გორების ფორტებს დაატანეს უმთავრესი ძალი“.

მესამე ესკადრის გაგზავნა. „რუს“-ს სარწმუნოდ შეუტყვია, შორეულ-აღმოსავლეთს პირველად შემდეგი გემები გაიგზავნება: ჯავშნიანი გემები: „გენერალ-ადმირალ აპრაქსინი“, „ადმირალ სინიავინი“, „ადმირალ უშაკოვი“ და „იმპერატორ ნიკოლაი I“, კრეისერი „ვლადიმირ მონომახი“, კანონირო გემი „ხრაბრი“, ერთი ნაღმიანი კრეისერი და 3 ან 5 საესკადრო ნაღმიანი გემი. ყველა ეს გემი, ნაღმიან კრეისერის გარდა, თითქმის სრულად დამზადებულნი დგანან ლიბავაში. „იმპერატორ ნიკოლაი I“-ის ძველი არტილერია სულ გამოცვალეს და ზედ სულ ახალი, თანამედროვე ზარბაზნები დადგეს; დანარჩენ გემებსაც ქვაბები და მთელი მეხანიზმი გამოუცვალესო („ნ. დ.“).

სამშაბათის ნომერში შეცდომით დაბეჭდილი იყო დიდ ოკეანის მესამე ესკადრა ნელა მიდისო. იქ ლაპარაკი დიდ ოკეანის მეორე ესკადრის მესამე სწრაფმავალ რაზმზე (კრეისერი „ოლეგი“, „იზუმრუდი“, და სხვა) იყო და არა მესამე ესკადრაზე. ამ ესკადრას მხოლოდ ეხლა ამზადებენ და ჯერ ვინ იცის, კიდევ როდის წავა. ამას გარდა, ზოგიერთი რუსული გაზეთი შავის ზღვის ფლოტის გაგზავნასაც თხოულობს. გაზეთები სწერენ: მართალია საერთაშორისო ხელ-შეკრულობის ძალით დარდანელში გემების გატარების უფლება არა გვაქვს, მაგრამ ეს ხელ-შეკრულობა დაძველდა (1855 წელს იყო დადებული) და ინგლისის გარდა, არც ერთი სხვა სახელმწიფო ხმას არ გაგვცემსო; ოსმალეთს გაუხარდება კიდევაც, რომ შავის ზღვის ფლოტი მოეშორებოთ; ინგლისიც მხოლოდ პროტესტს გამოაცხადებს და ბოლოს კი დაგვითმობს, ომს არ გამოგვიცხადებსო. ინგლისური გაზეთები კი სულ სხვას ამბობენ. თითქმის მთელი ინგლისის პრესა ერთხმად აცხადებს, რუსეთს არას დროს არ დავუთმობთ ამ საქმეში და საერთაშორისო ხელშეკრულობას არ დავარღვევინებთო. ყველაზე მეტად „მორნინგ პოსტ“-ი და „სტანდარდ“-ი ღელავენ. „მორნინგ პოსტ“-ი ამბობს, თუ ინგლისი ეხლაც დაუთმობს რუსეთს, მაშინ თავისი არმია და ფლოტი უნდა დაითხოვოსო. ინგლისელებს ეშინიათ, რაკი რუსის ფლოტი შავი ზღვიდან გავა, ოსმალეთის ნეიტრალიტეტი დარღვეული იქნება, იაპონია საკავშირო პირობის ასრულებას მოითხოვს და ინგლისი იძულებული იქნება დახმარება გაუწიოს იაპონიასაო. ინგლისელების უკმაყოფილების მეორე მიზეზი კიდევ ისაა, რომ მაშინ ინგლისის გავლენა ხმელთა შუა ზღვაში შემცირდებაო. („ნ. დ.“).

„დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი სწერს: ერთმა წარჩინებულმა რუსის მოხელემ მითხრა: რუსეთს ჯერ საბოლოოდ არა აქვს გადაწყვეტილი [illegible] ზღვის [illegible] გაგზავნა. მაგრამ თუ მოინდომებს, გემების გატარება დარდანელში არც თუ ძლიერ გაუჭირდებაო. სულთანმა ჩუმად თანხმობა გამოგვიცხადა იმ პირობით-კი, რომ როცა რუსის გემები დარდანელში გაივლიან, რამდენსამე ფუჭ ყუმბარას ვესვრით, რომ ინგლისმა ხმა აღარ გაგვცესო. („რ.“).

ახალი ამბავი

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან მთავრობის გადაწყვეტილება **ამიერ-კავკასიაში სოფლად მკურნალობის საქმის** გადაკეთების შესახებ. ეს საქმე უნდა დაეწყოთ და ახალი შტატები დაეწესებინათ მდგომარე წლის მარტიდან. მთავარ-მართებლის თანაშემწეობის აღმასრულებელმა ამას წინად აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ რეფორმის განხორციელება დაწყებულ იქმნას 1905 წლის იანვრიდან, ხოლო დადგენილება შტატის შეცვლისა და ჯამაგირების დანიშვნის შესახებ ჩაითვალოს მდგომარე წლის მარტიდან. ეს თხოვნა შეწყნარებულ იქნა.

◆ დუშეთის მაზრაში **კეთროვნებით ავად გამხდარა ორი** კაცი. ეს ამბავი ადგილობრივმა სამაზრო ექიმმა აცნობა ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო გამგეობას. ავადმყოფნი ყოფილან ელიზბარ ნაკაიძე და დავით კობაიძე. ერთი მწყემსი ყოფილა და მეორე სოფლის მეურნე. გამოკითხვის დროს ავადმყოფებს ვერ აუხსნიათ, რა დროიდან და მიზეზის გამო გახდნენ ავად. როგორც ნაკაიძეს, ისე კობაიძეს უკვე მოსწყდათ ხელებისა და ფეხების თითები. ავადმყოფებს არა სჯერათ, თუ ეს საშიში სენია და ჰგონიათ, ყინვისაგან არისო. იმათ გვარში ეს სენი სხვას არავის სჭირებია. ავადმყოფნი განცალკევებულნი არიან.

◆ **ხორცის დუქნების** კომისიას მეორე სხდომა ჰქონდა გამგეობის იმ წინადადების განსახილველად, რომელიც შეეხება დუქნების ყოფნა არ ყოფნის საქმეს. კომისიამ 8½ საათიდან ღამის 2 საათამდე ილაპარაკა, მაგრამ ვერავითარ გამორკვეულ აზრს ვერ დაადგა. კომისიამ გადაათვალიერა დუქნების მოქმედების საქმე ამ სამის წლის განმავლობაში. ქალაქისაგან დუქნებს მიუღიათ 90,000 მან. სარგებლის ნაცვლად ქალაქის კასას უზარალნია 55,000 მანეთი. როგორც კამათიდან გამოირკვა, ამ ზამთარს უფრო მეტი ზარალი მოსალოდნელია, რადგან კომისიას თადარიგი არ დაუჭერია და წინდაწინვე საკლავი საქონელი არ შეუძენია. ბევრის კამათის შემდეგ კომისიამ დაადგინა, დუქნების საქმე განიხილოს ქალაქის გამგეობასთან ერთად. შეერთებული კრება ამ დღეებში მოხდება.

◆ როგორც „რუს. ვედ.“ გადმოგვცემს, სომეხთა უმაღლეს სასულიერო მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს, **დაუბრუნდეს სომხის ეკლესიებსა და სკოლებს ის ქონება**, რომელიც პლევეს დროს ჩამოერთვათ.

◆ 1 დეკემბერს სხდომა ჰქონდა ტფ. ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიას. როგორც ვიცით, ქალაქის თვით-მართველობას ტრამვაის 150 **უფასო ბილეთი აქვს**. კომისიამ, სხვათა შორის, ყურადღება მიაქცია იმას, რომ ეს ბილეთები უწეს-რიგოდ არის განაწილებული. ტეხნიკოსები, ინჟინერი და ზოგიერთი სხვა მოხელენი იღებენ ცალკე ფულს სამგზავრო ხარჯად. ამას გარდა ამ მოსამსახურეებს უფასო ბილეთებიც აქვთ. მცირე ჯამაგირიან მოხელეებს-კი არც ფული ეძლევათ და არც ბილეთები. სარევიზიო კომისიამ დაადგინა, აცნობოს საქმის ასეთი ვითარება გამგეობას და სთხოვოს, უფასო ბილეთები უფრო წესიერად გაანაწილოს.

◆ რედაქციამ მიიღო შემდეგი **ახალი გამოცემანი „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ“ საზოგადოებისა: 1.** „ქართულ სიტყვიერების თეორია“ (უძველეს დროიდან მე-18 საუკუნის გასვლამდე), თხზულებანი ალექსანდრე ხახანაშვილისა. წინასიტყვაობაში ავტორი ჰპირდება, რომ მე-18 საუკუნის ლიტერატურის ისტორიას მერე დაუბრუნდებიო. ეს ახალი წიგნი თითქმის 600 გვერდს შეიცავს და ღირს 1 მან. 25 კ. 2. „ქართველ პოეტების რჩეული ლექსები“ (სურათებით და მოკლე ბიოგრაფიებით). ფასი 25 კაპ.

◆ დუშეთში, როგორც „ნ. ო.“ გადმოგვცემს, **მოხდა ქალაქის რწმუნებულთა** და მათ კანდიდატთა არჩევნები. რწმუნებულებად აურჩევიათ: „კორინთელი გიორგი, მარტიროზოვი ალექსანდრე, ყარანგოზიშვილი ვლადიმერ, ბარათაშვილი ნიკოლოზ, გრიგოლოვი ანდრია, ბარათაშვილი ალექსანდრე, ტაბურიძე ზაქარია, მირაქოვი გრიგოლ, ქუმსიშვილი ყარამან, აპრელოვი ერივანდ და მარტიროზოვი ივანე. კანდიდატებად: შალიკოვი ალექსანდრე, ათოევი გიორგი, ბარათაშვილი არტემ, ელიკოვი ივანე და ასლოვი გრიგოლ.

◆ ამ დღეებში პეტერბურგიდან ტფილისს მოელიან **მთავარ საინტენდანტო გამგეობის** უფროსს გენერალ ლეიტენანტს როსტოვსკის.

◆ როგორც „კავკაზ“-ს დეპეშით აცნობებენ, ავადმყოფობის გამო **დათხოვნილ იქნა თანამდებობიდან** ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრი ფრანცოვი.

◆ მთავარ-სამმართველომ სახელმწიფო ცხენების ქარხნებისამ აცნობა გუბერნატორს, რომ იმ 1500 მანეთის მეტს, რომელიც საერობო თანხიდან ჯილდოებად ურიგდება ყოველ წლივ ხარჯების გასასტუმრებლად, ახალ სხვა კრედიტს ვერ გადებსო, ასე, რომ ამ 4500 მანეთსაც, რომელიც სამი წლის (1904—1906) ხარჯთ-აღრიცხვით არის გადადებული დიდის საქმის მოსაწყობად ტფილისში, დღეიდან ვეღარ გაიღებს მთავრობაო.

◆ დიდ-ჯიხაიშის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგე ი. ლეჟავა გვთხოვს დავბეჭდოთ: „თქვენის გაზეთის საშუალებით ღრმად მადლობას ვუცხადებთ იმათ, ვინც დიდი ჯიხაიშის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს საკუთარ შენობის ასაგებად შემწეობა აღმოუჩინეს“. შემომწირველთა სიას უადგილობის გამო ვერა ვბეჭდავთ.

◆ ბახვის სკოლის ზედამხედველი გ. შარაშიძე გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: „მადლობას ვუცხადებ ბ-ნ იასონ ქიასურს ძე გოგიტიძეს, რომელმაც ბახვის სკოლას შემოსწირა მშვენიერი ნიმუში (მოდელი) გემისა, ღირებული სამ თუმნად.“

◆ რედაქციამ მიიღო პავლე აკობაის თხზულება „იმედი“. წიგნში ლექსებია მოთავსებული. ფასი 50 კაპ.

◆ ნავთლუღში წმ. ბარბარეს ეკლესიაში სალოცავად ყოველ წლობით დიდ-ძალი ხალხი დაიარება ქალაქიდან. ხვალ, 4 დეკემბერს, მწირველია საქართველოს ეგზარხოსი. ადმინისტრაციამ განკარგულება მიახდინა, ეტლებმა იარონ როგორც ძველის (ერევნის), ისე ნავთლუღის გზით. ქვეითებს ნება მიეცათ ისარგებლონ რკინის ლიანდაგზე გადებულ ხიდითაც.

◆ სად. მცხეთა. 1 დეკემბერს, ნაშუადღევის სამ საათზე, სახალხო მატარებელმა № 7 გასრისა პოლიციის „სტრაჟნიკი“ დუშეთის მაზრის სოფელ კუმისციხის მცხოვრები ვასილ საკურავა.

◆ სად. ბათუმი. 30 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, მატარებელი № 201 დაეჯახა ორ პლატფორმას. დაჯახების დროს პლატფორმიდან გადმოვარდა მეისრე იაგორ ანპილავა და მარცხენა ფეხი დაუშავდა.

◆ მამუკას სოფლის მცხოვრებლებმა ნავთლუღში ავკაცობის გამო თავიდან მოიშორეს სოფ. მანავის მცხოვრები ვანო თამაზაშვილი, რომელიც მამუკას სოფელში თავის ფერ ამხანაგებთან იყო შეკედლებული და ქურდობასა და ცუდკაცობას სჩადიოდა. ეს რამდენიმე ხანი ეს კუთხე მიყუჩებული იყო და ქურდობა-ავკაცობის აღარაფერი ისმოდა. ამ კვირეებში საიდანღაც გაჩნდა თამაზაშვილი და ხელახლა გახშირდა ქურდობა. ეხლა-ხან კოპაშვილს მოჰპარეს ორი ხარი, ხოლო მარტიროზოვს—6 სული საქონელი.

◆ 30 ნოემბერს ლიბერმანის სტამბაში გაჩნდა „უგარი“, რამაც ყველა მომუშავეები დაარეტიანა. ერთი მომუშავე, რომელიც მაშინაზე ქაღალდს უწყობდა, უეცრად დაეცა გულ წასული, გამოიყვანეს გარედ, და, როგორც იყო, მოაბრუნეს, იმავე მანქანის შორი-ახლოს დარეტიანდა 12 წლის მომუშავე, რომელიც ტირილით გამოიყვანეს გარედ. საჭიროა საკვამლე მილები მაინც გასუფთავდეს.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში ზაქარიას ქუჩაზე 30 ნოემბერს გაუფრთხილებლობის გამო ცეცხლი გაუჩნდა მინასა რანტოვის სახლს. ცეცხლის გაჩენა მალე შეიტყეს და ჩააქრეს.

◆ სოფ. ვაქირში (სიღნ. მაზრა) შეუპყრიათ სოფ. კაჭრეთის მცხოვრები დიმიტრი ლაზაშვილი, რომელსაც სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენა ჰბრალდებოდა.

ქიათურის შავი-ქვის მრეწველთა მეშვიდე საგანგებო კრება

29 ნოემბერს ქიათურის შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში მოხდა მრეწველთა მეშვიდე საგანგებო კრება. თავმჯდომარეობდა კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსის თანაშემწე მ. ი. ჩენგერი. კრებას დაესწრო კავკასიის პირველ სამთო ოლქის ინჟენერი გ. ა. ცეიტლინი და 15 მრეწველი. ერთი თვალის გადავლებით დარწმუნდებოდით, რომ კრებას ბევრი თავსამტვრევი საქმე არ ჰქონდა განსახილველი. ამასვე ამტკიცებდა საქმეების მოკლე სია: ასარჩევი იყვნენ კრების მდივანი და სამთო-სამრეწველო საქმეთა საბჭოს რწმუნებული; ამასთანავე უნდა გადადებულიყო საბჭოს საქმეების საწარმოებლად საჭირო ფული.

კრების მდივნად ერთხმად აირჩიეს დ. ბ. მდივანი. თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, შავი-ქვის მრეწველთა მეექვსე კრებაზე უკვე გადასწყდა, რომ ხსენებულ საბჭოში საქმის წარმოებისათვის ჩვენის კრების მხრით გადადებულიყო ყოველწლიურად 1200 მანეთი; ეხლა თქვენზეა დამოკიდებული, შესცვლით ამ რაოდენობას, თუ ისევ უცვლელად დასტოვებთო. მთელ საბჭოს შესანახად საჭირო ყოფილა 12,000 მანეთი. კრებამ ერთხმად დაადგინა, უცვლელად დასტოვოს ხსენებულ საქმისათვის მეექვსე კრებაზე გადადებული 1200 მანეთი.

თავმჯდომარემ შეუდგა საბჭოს რწმუნებულის არჩევას. ლაპარაკი ჩამოვარდა, რამდენი რწმუნებული უნდა იქმნეს არჩეული შავი-ქვის მრეწველთა მხრივ. თავმჯდომარე იმ აზრისა იყო, რომ მხოლოდ ერთი რწმუნებული უნდა აირჩიეს, რადგან პროგრამაშიაც ერთი რწმუნებულია დასახელებული. თავ. ი. ბ. ნიჟარაძის წინადადებით კითხულობენ მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მოწერილობას, სადაც, სხვათა შორის, აღნიშნულია სამთო-სამრეწველო საბჭოს დაარსების აზრი, იქვე ნაჩვენებია, რომ რუსეთის ყოველს კრებას (СЪѢЗДЪ) შეუძლიან იყოლიოს საბჭოში არა უმეტეს სამის რწმუნებულისა. თავ. ი. ბ. ნიჟარაძე იმ აზრისაა, რომ არჩეულ იქმნეს ორი რწმუნებული, რომელთაგან ერთს ექმნება გადამწყვეტი ხმა და მეორეს მხოლოდ სათათბირო. ბ. პ. მოსეშვილი: რწმუნებულის არჩევის დროს იბადება საკითხი, ჯამაგირიანი იქმნება ეს რწმუნებული, თუ უჯამაგირო. ჩემის აზრით, უჯამაგიროდ არავინ იკისრებს რწმუნებულობას, რადგან წასვლა წამოსვლაზე და საბჭოს სხდომების დასწრებაზე საკმაოდ დიდი ხარჯი დასჭირდება; ჩვენ კი რწმუნებულის დასაჯილდოებლად წლევანდელს ხარჯთ-აღრიცხვაში არაფერი გვაქვს შეტანილი; ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ეს საკითხი მომავალ წლის მორიგ კრებამდის გადავდოთ. თავმჯდომარემ საჭიროდ არა სცნო არჩევნების გადადება, რადგან მომავალ კრებამდის ცოტა დრო დარჩა, მანამდის კი, რაც რწმუნებულს ხარჯი დასჭირდება, ეს შეიძლება იმ თანხიდან მივცეთ, რომელიც საბჭოს განკარგულებაშია მოულოდნელ ხარჯების დასაფარავადაო.

კრებამ დაადგინა, აირჩიოს ორი წარმომადგენელი მხოლოდ დროებით, მრეწველთა მომავალს მორიგ კრებამდის. ს. ი. წერეთელმა წინადადება შეიტანა ერთ წარმომადგენლად არჩეულ იქმნეს მრეწველთა პეტერბურგელი წარმომადგენელი სამთო ინჟენერი ა. ა. ვოლსკი, რომელსაც უნდა ექმნეს მხოლოდ სათათბირო ხმა. ბ. პ. მ[illegible]ვილი იმ აზრისა იყო, რომ მეორე რწმუნებულს ჰქონდეს გადამწყვეტი ხმა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველი რწმუნებული რამე მიზეზის გამო საბჭოს სხდომას ვერ დაესწრება.

ერთხმად გადასწყდა, რომ ორივე რწმუნებულს ჰქონდეს გადამწყვეტი ხმა. თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას ამოირჩიოს სამი კაცი, რომელთაც უნდა შეამოწმონ მრეწველთა ხმები დალობები. ირჩევენ ა. გ. ცეიტლინს, ბ. პ. მოხლსა და ბ-ნს საყვარელიძეს. კრება ნახევრის თით შესწყდა. ხმების შემოწმების შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით კრება წერილებით ასახელ[illegible] ასარჩევ კანდიდატებს. გ. ფ. ზდანოვიჩს ასახელებ[illegible] 14 ხმით, სამთო ინჟენერს ვოლსკის—12 ხმით. კენჭი უყარეს ორსავე დასახელებულ კანდიდატს. გ. ფ. ზდანოვიჩმა მიიღო 20 თეთრი და ორი შავი; ა. ა. ვოლსკიმ—16 თეთრი და 6 შავი. ამგვარად ორივე კანდიდატი არჩეულ იქმნა.

ამასთანავე კრებამ დაადგინა: თუ სამინისტრო რამე მიზეზით არ დასთანხმდება, რომ ორივე რწმუნებულს ჰქონდეს გადამწყვეტი ხმა, მაშინ ასეთი ხმა მიეცეს გ. ფ. ზდანოვიჩს, რომელიც ხმის უმრავლესობით იქმნა არჩეული. ბ-ნს ვოლსკის—კი მხოლოდ სათათბირო ხმა დარჩეს.

პრესსა

„ნაშა ჟიზნ“-ი შემდეგის სიტყვებით ახასიათებს კავშირს რუსეთის ცხოვრებასა და კანონმდებლობას შორის:

> რუსეთის კანონმდებლობა—ცხოვრების სარკე არ არის. სარკე რომ ვუწოდოთ, ისიც უნდა დაუმატოთ, რომ იმ სარკეთა გვარისაა, რომელნიც სრულებით ამახინჯებენ ცხოვრების სურათებს. ამ სარკეს ზედა-პირიც არ უვარგა და სარჩულიც გაფხეკილი აქვს. ცხოვრების სხივები ვერ გაატანენ ამ უშნო სარკეში, რომელშიაც იხატება საცოდავად ფრთა შეკვეცილი, გადამახინჯებული ცხოვრება. ვინც ცხოვრების ამგვარ სარკეს დაუკვირდება, იტყვის, როგორი საბრალო უნდა იყოს დიდებული სახელმწიფოს ცხოვრება, რამდენად ღარიბი და ვიწროდ შემოფარგლული; რამდენად ძალ-შეპყრობილი, მკვდარი უნდა იყოს ეს თვალ-უწვდენელი ქვეყანა თავის 140 მილიონ სხვა-და-სხვა ტომის ხალხით, თუ მართლა იმისი ცხოვრება ამ კანონმდებლობაში გამოიხატებაო.
>
> ეს აზრი შემცდარი აზრი იქნება. ცხოვრების მრავალი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი ვერ ჰპოვებს პასუხს რუსეთის კანონმდებლობაში. ცხოვრების ბევრი საკითხი უსამართლოდ, გადამახინჯებით არის გადაწყვეტილი იმ კანონმდებლობაში. ამნაირად კანონმდებლობა გზაზეღობება რუსეთის ცხოვრებას, აბრკოლებს ცხოვრების განვითარებას, წინსვლას, პროგრესს.

⁂

ბუდიშჩევი, გაზ. „რუს“-ის თანამშრომელი, მოგვითხრობს რამდენი დაბრკოლება გადაეღობა მას გზაზე, როცა მან პროვინციაში სალიტერატურო საღამოში მონაწილეობის მიღება დააპირა. ადგილობრივმა პოლიციის მოხელემ, ფრიად უვიცმა გვამმა, დიდ განსაცდელში ჩააგდო ბუდიშჩევი: „თქვენ მიერ საღამოზე წასაკითხად არჩეული ლექსი აკრძალულიაო. ეს ლექსი კი ბევრჯელ წაუკითხავთ სცენაზე პეტერბურგის საიმპერატორო თეატრებში. დიდის ვაი-ვაგლახის შემდეგ ბუდიშჩევმა ნება-რთვა მიიღო და წაიკითხა ლექსი. რამდენიმე თვის შემდეგ ახალი სალიტერატურო საღამო გამართეს და ბუდიშჩევმა რუსეთის ცნობილ პოეტის, გრაფის ალექსეი ტოლსტოის ლექსის წაკითხვა დააპირა. უვიცმა პოლიციის მოხელემ მოისმინა ლექსი და მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, ეს ლექსი აკრძალულიაო და იმისი წაკითხვის ნება არა გაქვთო. ბუდიშჩევმა ამაყად უპასუხა, ეს ლექსი მისი უდიდებულესობის კარის იეგერ-მეისტერის გრაფ. ტოლსტოის მიერაა დაწერილიო. ეს რომ სთქვა, პოლიციელი სულ სხვა კაცად გადაიქცა: უფრო დაუკვირდა ლექსის შინაარსს, დაფიქრდა, ჰკითხა ბუდიშჩევს, ნუ თუ მარ-

ფელეტონი

წერილები გერმანიიდან

ცოტა რამ მუშათა დასის შესახებ

დღეს შეუმცდარ ჭეშმარიტებად უნდა იქმნას მიღებული ის მარტივი აზრი, რომ თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში საქმის ერთად-ერთი გადამწყვეტი საშუალება—ძალაა, ღონე, სიძლიერე—აი, რის გარშემო ტრიალებს პოლიტიკოსის აზრი, აი, იმისი მთავარი საგანი. სამართლიანობის, კაცთ-მოყვარეობისა და სხვა ამ გვარ მაღალ ზნეობრივ პრინციპების ამ სფერაში გატანა თანამედროვე პირობებში შეუძლებელია. ის შორეული, ყველასათვის სათაყვანებელი მომავალი, რომლის დროსაც ყოველგვარი ურთიერთობანი სამართლიანობის მიხედვით გადასწყდება, ეს სანატრელი მომავალი ჯერ კიდევ ძლიერ შორს არის. ადამიანს უდიდესად უნდა ჰქონდეს განვითარებული ფანტაზია, რომ დარწმუნდეს ამ სასურველ ჟამის მოახლოვებას, რადგან მთელი თანამედროვე სინამდვილე სულ სხვას გვეუბნება, რადგან თანამედროვე საუკუნის ადამიანს ძვალსა და რბილში გამჯდარი აქვს ის აზრი, რომ ჩვენ დროს ყველაფერი ძალით განიზომება, რომ ძალა მართლაც დიდი ძალაა. ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს მას არა მარტო ადამიანთა საზოგადოებაში, არამედ ყველგან, სადაც-კი სიცოცხლის ნიშანს ამჩნევთ და სადაც, მაშასადამე, გაუთავებელი ბრძოლა არსებობს: ყველგან და ყოველთვის ძლიერი იმარჯვებს, ყველგან და ყოველთვის მარცხდება ის, ვისაც არ შეუძლიან არსებულ პირობებთან შეგუება.

ასეთია ცხოვრების კანონი და, გინდა თუ არა, ეს კანონი ყოველთვის უნდა გვქონიოთ მხედველობაში. ამნაირად ძალა თამაშობს უპირველესს როლს პოლიტიკაში როგორც საგარეო, ისე შინაურ პოლიტიკაზე. მაგალითად, თუ რომელიმე პოლიტიკური პარტია მოწადინებულია შინაურ საქმეებს გვარი დაადოს, თუ სურს, იმისი ხმა არ დარჩეს „ხმად მღაღადებელისად უდაბნოსა შინა“, მან, რა თქმა უნდა, თავდაპირველად ძალა და გავლენა უნდა მოიპოვოს. უმისოდ უმრავლესობისაგან მწარე დაცინვა მოელის, ერთის სიტყვით, ამა თუ იმ საშუალებით გაღონიერება, მოქმედების ფარგლის გაფართოება და მით საზოგადოებრივ სიმპატიის მოპოვება — აი ყოველ მომქმედ დასის უახლოვესი საგანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ესე იგი მაშინ, როდესაც ესა თუ ის დასი სუსტია, როდესაც საზოგადოებაზე არავითარი გავლენა არა აქვს, იგი არავითარ ყურადღებას არ იქცევს და ბოლოს იძულებული ხდება პოლიტიკურ ცხოვრებას მოშორდეს. ჩვენ გვსურს ამ ჟამად დავანახოთ მკითხველს ერთი საინტერესო მაგალითი გერმანიის შინაურ პოლიტიკიდან, რომლიდანაც ნათლად გაიგებს, რა სასწაულის მომქმედია ძალა, რა ბეჭედს ასვამს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სურათს.

სულ ორმოცი წელიწადია, რაც გერმანიაში მუშათა პოლიტიკური დასი არსებობს და, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ხნის განმავლობაში მან გასაოცარი ნაბიჯი წარსდგა წინ და მით დიდი კვალი დაამჩნია მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას: მუშათა მოძრაობის საკვირველი ზრდა, დასის საშინლად გაღონიერება და ამ გაძლიერების მიერ გამოწვეული პოლიტიკურ დამოკიდებულებათა სურათის შეცვლა,—ყოველივე ეს ამ ბოლო დროის ფრიად თვალსაჩინო ფაქტებია. გერმანიაში არც ერთი პოლიტიკური პარტია არ გაღონიერებულა ისეთის სისწრაფით, არც ერთ დასს არ მოუპოვებია ხალხის ისეთი თანაგრძნობა, როგორც სოციალ-დემოკრატიას, და ამასთან ერთად არც ერთ მომქმედ ჯგუფის გზა არ ყოფილა ისე ეკლიანი, არც ერთ ჯგუფს არ მოხვედრია მკაცრი მუჯლუგუნი, როგორც ამ დასს. მაგრამ რეპრესიების მიუხედავად იგი მაინც თავდავიწყებით იბრძოდა თავის იდეებისათვის და მხნე მოღვაწეობით მშრომელ ხალხის სიმპატიას პოულობდა. ასეთ ცუდ პირობებში გადაიქცა იგი უძლიერეს პარტიად, ასეთ დახუთულ, ბნელ ჭაერში მაინც გამარჯვებული დარჩა და მით სამუდამოდ დაამტკიცა, რომ არავითარ მკაცრ ზომებს, არავითარ რეპრესიებს არ შეუძლიან შეაჩეროს ხალხის მოძრაობა, თუ ამ მოძრაობის განვითარება თვით ისტორიულ სინამდვილის განვითარებისაგან გამომდინარეობს, რომ თავისუფალ აზრის შებორკვა შეუძლებელია.

რას წარმოადგენდა წინად მუშათა პარტია?—პატარა ჯგუფს, რომლის სამოქმედო ასპარეზი ფრიად ვიწრო იყო, და რომლის გავლენა პატარა წრეებით ისაზღვრებოდა. ის იყო სუსტი როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად. რა თქმა უნდა, ამ დროს მას, როგორც სუსტ ჯგუფს, საზოგადოებრივ აზრზე ცოტა გავლენა ჰქონდა. ამიტომაც ძლიერ ადვილი იყო მისი შევიწროება, რადგან არავინ იყო პასუხის მომთხოვი. მთავრობას ძლიერ სურდა რეპრესიულ ზომებით მოძრაობის შესუსტება და ასეთ ზომებს ხშირად ხმარობდა, მაგრამ... ყველაფერი ამაოდ: პარტია კიდევ უფრო ღონიერდებოდა. შებორკვა-შევიწროება პარტიულ უთანხმოებას დროებით სპობდა და მებრძოლი რაზმი პირ და-პირ საერთო მტრის წინააღმდეგ მიდიოდა. ამ დროს იმისი გავლენა ერთი ორად ფართოვდებოდა. მაგალითად, როდესაც პრუსიის სისასტიკემ 1874 წ. უმაღლეს წერტილამდე მიაღწია, შეუძლებელი იყო ცალკე ჯგუფების არსებობა; ამიტომაც ამ შევიწროებამ გამოიწვია პარტიის ძალის ერთად შეკრება და საერთო სამოქმედო პროგრამის შემუშავება. ამ მისწრაფების შედეგი იყო ცნობილი ისტორიული ფაქტი—შერიგება 1875 წ. ორ დემოკრატიულ ფრაქციისა, ლასსალისტების და ეიზენახელებისა, რამაც, რა თქმა უნდა, დასის ძალა ერთი ორად გაადიდა. ამ ნაირად რეპრესიამ ძლიერ კარგი ნაყოფი მოუტანა დემოკრატიას. მუშათა მოძრაობის გაღონიერება მაშინ ზარსა სცემდა მოწინააღმდეგე მხარეს, რომელიც ხშირად ძლიერ გამოურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა ხოლმე; მან არ იცოდა, რა ზომებისათვის მიემართნა, რომ სამუდამოდ მოესპო პროლეტარიატის საშიში წინსვლა: მოქმედების თავისუფლება რომ მიეცა, მაშინ მუშათა კავშირები მთელ გერმანიას მოედებოდა, ეს კი საზარელი რამ იყო მისთვის. შევიწროებაც ასეთ ნაყოფს იძლეოდა! აი, ასეთ ტრაგი-კომიკურ მდგომარეობაში—და [illegible] მთავრობა. ასეთივე ნაყოფი მოიტანა ცნობილმა „განსაკუთრებულმა კანონმა სოციალისტების წინააღმდეგ“, რომელიც გამოცემულ იქმნა 1878 წ. ამ ახირებულ კანონის საშუალებით ადვილი იყო მუშათა ორგანიზაციების მოსპობა, პარტიულ გამოცემათა დახურვა, მეთაურთა დაჭერა და სხვა. ერთის სიტყვით, პარტიის წინააღმდეგ ყოველგვარ უკანონობის ჩადენა კანონიერი მოვლენა იყო. ამიტომაც ამ დროს შეუძლებელი იყო თვით გერმანიაში მოქმედება და პარტიის საუკეთესო მოღვაწენი საზღვარ გარეთიდან ამზადებდნენ გერმანიის ხალხს.

უნდა ითქვას, რომ ასეთ რეაქციის დროს გერმანიის დემოკრატიამ დიდი მხნეობა და ენერგია გამოიჩინა; მისმა არა ლეგალურმა მოქმედებამ ყველგან გაიდგა ფესვი; არა ლეგალური გაზეთები და ფურცლები, რომლებიც საზღვარ-გარეთიდან შემოდიოდა, საკვირველად ვრცელდებოდა ფართო საზოგადოებაში, და ბოლოს ფარულმა ენერგიულმა მოღვაწეობამ ისე გააძლიერა დემოკრატიის ძალა, ისეთი დიდი თანაგრძნობა მოიპოვა შეგნებულ მის მიერ გათვითცნობიერებულ ხალხში, რომ 1890 წ. არჩევნების დროს ერთ მილიონზე მეტი ხმა მიიღო. ამ მოულოდნელმა გამარჯვებამ იმავე წელს გააუქმებინა მთავრობას „განსაკუთრებული კანონი.“ დევნამ, რეაქციონურმა პოლიტიკამ თავის მიზანს ვერ მიაღწია: [illegible] მოძრაობამ მაინც თავისი ჰქნეს. მოხდა ის, რაც [illegible] მომხდარიყო. მედგარმა ბრძოლამ დაამარცხა რეაქცია და ახალი დასი გერმანიაში უძლიერეს დასად იქცა. გაძლიერდა არა მარტო როგორც პო-

… იეგერ-მეისტე-
… ვემა განუმეორა თა-
… იციელმა უთხრა: რა
… ყოფილა, სწორედ
… რის, წაიკითხეთ, თუ ღმე-

⁂

…ოვოსტი“-ს სწერენ დასავლეთ …ან სამწუხარო ამბავს იმის შესახებ, …გორ სარგებლობენ მაწანწალა, მუქ…მჭამელა ბერები ხალხის უვიცობით, რანაირად ატყუებენ, რათა სისხლის ოფლით ნაშოვნი ორიოდე გროში გამოსტყუონ საბრალო გლეხს ან მუშას. ქალაქებსა და სოფლებში დაწოწავენ ეს სხვისი ოფლით მცხოვრები პარაზიტები და თვალებს აცეცებენ გემრიელ ლუკმის საშოვარადაო. ამისთანა მაწანწალა ბერი შეხვედრია ამას წინად დასავლეთ რუსეთის რკინის გზის სადგურზე მოხუცებულ სოფლის ქალს, რომელიც თავის შვილთან მიდიოდა გომელში. ბერმა დაუწყო ლაპარაკი, გამოჰკითხა ამბავი და უთხრა, გომელამდის ბილეთი სამი მანეთი ღირს: ნუ იყიდი,—მე მანეთად მოგიწყობ საქმეს. ხომ ხედავ, ხელში შემოწირულებათა წიგნი მიჭირავს, ერთი მანეთი შემოსწირე წმ. ნიკოლოზის ეკლესიას და ისეთ უჩინ-მაჩინის ქუდს დაგახურავ, რომ კონდუქტორმა ვერ დაგინახოს და უბილეთოდ მიხვიდე გომელსაო. საბრალო უვიცი დედაბერი დათანხმებულა: მიუცია ბერისთვის მანეთი, ბერმა რაღაც უცნაური ნიჭრებისაგან შეკერილი ქუდი ჩამოფხატა თავზე და ვაგონში გაისტუმრა. ამნაირად მოტყუებული ქალი დარწმუნებული იყო, რომ კონდუქტორი ვერ დაინახავდა, უბილეთოდ მშვიდობით მივიდოდა გომელში და მეტად გაოცებული დარჩა, როცა კონდუქტორი მივიდა ბილეთის სათხოვნელად. მოტყუებულ დედაკაცს გადაახდევინეს ორკეცი ფასი. დამსწრე მგზავრები შევიდნენ გაძარცულ ქალის მდგომარეობაში და საჭირო ფული შეუგროვეს.

⁂

ამას წინად რუსეთის გაზეთებში ბევრი ამბები იყო მოთხრობილი ახლად გაწვეულ ჯარის კაცებისაგან მოხდენილ უწესოებათა შესახებ. ბევრ სადგურზე დაამტვრიეს და დაარბიეს იმათი დუქნები და არაყით სავაჭროები და დაიტაცეს საქონელი. ამ უწესოებათა შესახებ გაზ. „ს.-პეტ. ვედ.“-მ წერილი დასტამბა და პასუხად შემდეგი წერილი მიიღო ერთ ახლად გაწვეულ ჯარის-კაცისაგან:

> თქვენ პატივცემულ გაზეთში ამას წინად განმარტებული იყო ახლად გაწვეულ ჯარის კაცების მიზეზით მომხდარი უწესოებანი. არ შევეხები იმას, თუ რამდენად სამართლიანი აზრი გამოსთქვა თქვენმა გაზეთმა. მხოლოდ ერთი რამ კი უნდა გკითხოთ: ეყოფა თუ არა მოზრდილ კაცს სარჩენად დღეში 13 კაპეიკი, რკინის გზით მიმავალ გაწვეულ ჯარის კაცებს-კი დღეში 13 კაპეიკი ეძლევათ.

ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფია

(წერილი რედაქციის მიმართ)

მივიღეთ რედაქციის მიერ გამოცემული თხზულებანი ყაზბეგისა ავტორის ბიოგრაფიით. ამ ბიოგრაფიაში შემდგენელი, ბ-ნი კარიჭაშვილი, შეეხო საკამათო საკითხს, რომელიც ყაზბეგის თხზულებებს თავიდანვე თან დაჰყვა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ბიოგრაფია ფრიად მოკლეა და დასარწმუნებელს საბუთებს საკმაოდ არ იძლევა. მკითხველი ორ-წყალ-შუა რჩება ავტორის ვინაობის გამო და ამ ორ-ჭოფულ მდგომარეობიდან საზოგადოების გამოყვანა მოვალეობაა ყველა იმათი, ვისაც რაიმე ცნობების მიწოდით შეუძლიანთ ნათელი მოჰფინონ ამ საქმეს. ამისათვის საჭიროა უფრო [illegible] ცნობ[illegible] ალ. ყაზბეგის შესახებ: იმისი მიწერ-მოწერა საზოგადო ინტერესისა. ეჭვი არ არის, ბევრთან თუ არა, რჩეულ მახლობლებთან მაინც ექმნებოდა აზრის აღებ-მიცემობა და გაზიარება. ეს მასალა ბევრს დაფარულს აჰხდის რიდეს. საჭიროა აგრეთვე გაეცნოს საზოგადოებას იმ წერილებს, რომელნიც ალ. ყაზბეგმა მოათავსა სხვა-და-სხვა დროს პერიოდიულ გამოცემას „კრებულში“ თუ სხვაგან, და აგრეთვე იმისი ლექსები დაბეჭდილი და დაუბეჭდავი, რომელთა დასტამბვაც შესაძლებელია ცენზურის ფარგალში. საჭიროა აგრეთვე სიმართლის გამოსარკვევად დასტამბოს დაწვრილებითი ბიოგრაფია დიმიტრი ყაზბეგისაც და უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ კითხვებს: სად და რომელს წელს სწავლობდა იგი? რა წლებში იმყოფებოდა პეტერბურგის უნივერსიტეტში? რა წრეში ტრიალებდა? რომელს წელს გაემგზავრა შვეიცარიაში? რომელს ქალაქში? რა ხანი დაჰყო იქ? პასუხები ამ კითხვებზედ გააადვილებს მის (დიმ. ყაზბეგის) პიროვნებისა და აზრ-შეხედულობის გამორკვევას. ამასვე ხელს შეუწყობს იმისი მიწერ-მოწერა მახლობლებთან, ვისაც გულ ახდით უზიარებდა თავის გულის ნადებს, თავის რწმენას ამა თუ იმ საკითხის შესახებ. თვითონ ენა და ხასიათი ამ კერძო მეგობრულ წერილებისა რაიმე საერთო კვანძს აღმოაჩენს იმ ნაწერებთან, უკვე თუ ისინი იმის კალამს ეკუთვნიან.

ის მოსაზრება ბ-ნ კარიჭაშვილისა, რომ „თუ დიმიტრი ყაზბეგმა საჭიროდ და შესაძლებლად სცნო დაებეჭდვინებინა „კრებულში“ პატარა სცენა მოხევეთა ცხოვრებიდან—მაკნე სული,—რატომ არ დაინახა საჭიროდ გამოექვეყნებინა დიდი და საკითხავად ფრიად საინტერესო მოთხრობები: „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“ და სხვა,—ეს მოსაზრება ბ-ნ კარიჭაშვილისა უსაფუძვლოდ მიგვაჩნია და სწორედ ის ფაქტი, რომ მან (დიმიტრიმ) არ დაბეჭდა „ელგუჯა“ და სხ., მხოლოდ ეჭვს გვიღვიძებს, რადგან ჩვენ ვიცით (დიმიტრი ყაზბეგის შვილისაგან—ნიკოლოზ ყაზბეგისაგან), რომ დიმიტრი იმყოფებოდა მთავრობის თვალ-ყურ ქვეშ და რამდენჯერმე განგებ გაგზავნილმა მოხელეებმა გაუჩხრიკეს სახლი. აშკარაა, დიმიტრის რომ გამოემჟღავნებინა „ელგუჯა“ (ნამეტურ შეუმოკლებლად), სადაც ასეთის შეუდარებელის მხატვრობით და ხელოვნებით არის აწერილი პირველი დღეები საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, ხალხის დრტვინვა, ბატონიშვილის ურჩობა, მთიულთა შეთქმულობა-აჯანყება, რუს-აფიცერთა და მოხელეთა უდიერობა, თავხედობა, ურცხვობა, ძალმომრეობა და სხ. ვიმეორებ, ასეთი თხზულება რომ გამოემჟღავნებინა, მაშინ ხომ თავის თავსაც აშკარად გასცემდა.

საზოგადოდ კი ის ხანა (მესამოცე წლები), როდესაც სწავლობდა დიმიტრი ყაზბეგი, ჰმოწმობს, რომ იგი უნდა გაეტაცნა იმ აზვირთებულ-აბობოქრებულ ტალღას ახალის მიმართულებისას, რომელსაც „ნაროდნიკობას“ უწოდებენ, ხოლო ჩვენის ერთის კრიტიკოსის სიტყვით „ტეტიათა მოტრფიალეობა“, ისე, როგორც გაიტაცა მან სხვა ჩვენი იმ დროინდელი ახალგაზრდობა, ჭავჭავაძე და სხვ. ყაზბეგის თხზულებაშიაც ხომ თითონ ძაფითაა გატარებული ეს მიმართულება: ხალხის ზნე-ჩვეულება—ადათთა თაყვანი და ტრფიალი თავისებურ თავისუფლებისადმი მისწრაფებისა.

ვიმეორებ ეს საკითხი ფრიად საფრთხილო და სათუთია, ნამეტნავად ჩვენში, სადაც ეს პირველი შემთხვევაა ასეთის საკითხის გამორკვევისა; ამისთვის ყველა მოვალეა მცირე რამ ცნობანიც კი ამის შესახებ მიაწოდოს რედაქციას სიმართლის განსამტკიცებლად.

ნ. კურდღელაშვილი.

რუსეთის ქრონიკა

◆ სარატოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას 18 ნოემბერს კრება ჰქონდა. კრებამ დაადგინა, გაუგზავნოს შინაგან საქმეთა მინისტრს შემდეგი დეპეშა: „თქვენო ბრწყინვალებავ! რუსის ხალხის თვით-ცნობიერება ამ ბოლო დროს თვალ საჩინოდ გაიზარდა. მთავრობის მხრივ სისტემატიურმა უნდობლობამ სამძიმო გახადა რუსეთის საზოგადოების არსებობა. ეს საზოგადოება მოკლებულია თვით-მოქმედებას, რაც აუცილებელი პირობაა განვითარებისთვის. დღეს ყველანი სიხარულით ვეგებებით თქვენ მრავალ მნიშვნელოვან სიტყვებს ნდობის შესახებ. სარატოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, აღნიშნავს რა იმ მძიმე და აუტანელ კვალს, რომელიც მთავრობის რეჟიმმა დააჩნია სოფლის მეურნეობას, უერთდება ხალხის საერთო ხმას და გისურვებთ საკანონმდებლო გზით განახორციელოთ პრინციპი ერთობისა მთავრობასა და ხალხს შორის. გეგებებით თქვენ, როგორც რუსეთის უკეთესს მომავლის წინამორბედს, და ვისურვებთ განახლებას, დამყარებულს პიროვნების ხელუხლებლობასა და სიტყვისა და სინიდისის თავისუფლებაზე“. („რ. ვ.“).

◆ როგორც „ტორგ. პრომ. გაზ.“ გადმოგვცემს, მთავრობას აზრადა აქვს წითელის ჯვრის სასარგებლოდ მოუმატოს დეპეშების გაგზავნის ფასს.

◆ ხარკოვის საპეითალო ინსტიტუტში, როგორც „კიევსკ. ოტკლ.“ გადმოგვცემს, გამოკიდებულია შემდეგი განცხადება: „აწ მომქმედ წესების ძალით, სტუდენტთა კრებები აკრძალულია. ამისდა მიუხედავად ზოგიერთი სტუდენტები თავიანთ კრებებით არღვევენ ინსტიტუტის ცხოვრების წესიერ მსვლელობას და არ ემორჩილებიან წესებს, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია გამოვუცხადო ბ-ნ სტუდენტებს, რომ თუ ხელ-ახლა გამართავენ რაიმე კრებას, იძულებული ვიქნები სასტიკი ზომები მივიღო და მივმართო გარეშე ძალის დახმარებას“.

◆ იმავე გაზეთის სიტყვით, შემდეგი განცხადება ყოფილა გამოკრული ხარკოვის უნივერსიტეტში: „ამ ბოლო დროს სტუდენტთა შორის ავრცელებენ მთავრობის საწინააღმდეგო წიგნაკებსა და ფურცლებს. ვალად ვრაცხ ჩემ თავს მივაქციო სტუდენტების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ყურადღება იმას, რომ, ჩვენის კანონით, მთავრობის საწინააღმდეგო თხზულებების გავრცელება დიდ დანაშაულობად ითვლება. შეიძლება ასეთ დანაშაულობას ცუდი შედეგიც მოჰყვეს. უნივერსიტეტში წესიერ მეცადინეობის აღსადგენად, ვთხოვ ბ-ნ სტუდენტებს ნუ მიიღებენ მონაწილეობას მთავრობის საწინააღმდეგო გამოცემათა გავრცელებაში“.

◆ ამ ორი თუ სამი წლის წინად საერო განათლების სამინისტრომ დააწესა ჯამაგირების მომატება იმ მასწავლებელთათვის, რომელნიც განსაზღვრულ დროს იმსახურებენ. ეხლა, რადგან ომის გამო დიდძალი ფულია საჭირო, მთავრობამ დაადგინა, დროებით მოსპოს ჯამაგირების მომატება· იმათ, ვისაც უკვე მოემატათ, არ მოესპობათ.

◆ პეტერბურგის ქალაქის გამგეობამ განიხილა საკითხი ქალაქის მოურავებისა და გამგეობათა წარმომადგენლების კრების მოწვევის შესახებ. ეს საკითხი ცნობილმა ხმოსანმა ფალბორკმა და იმისმა თანამგრძნობლებმა აღძრეს. ქალაქის გამგეობა, სრულიად მოულოდნელად, არ დაეთანხმა იმ საფუძველს, რომელიც საბჭომ მოიყვანა კრების მოწვევის საჭიროების დასამტკიცე[illegible] ქმდგომლოთ, რათა მოწვეულ იქნას კრება არა სადმინისტრაციო, არამედ სამეურნეო საკითხების გადასაწყვეტადაო.

◆ პეტერბურგში დაბრუნების ნება მისცეს რუსეთის ცნობილ მწერალს რუბაკინს, რომელიც პლევეს დროს გადასახლებული იყო. საზღვარ-გარეთ წასვლის ნება-რთვა ითხოვა. მისცეს ნება, მხოლოდ იმ პირობით, რომ უკან არ უნდა დაბრუნებულიყო.

◆ 24 ნოემბერს პეტერბურგში მოხდა თავისუფალ-ეკონომიურ საზოგადოების კომისიის კრება საგლეხო საქმეთა შესახებ. კრებაზე გრ. გეიდენმა გამოაცხადა, შინაგან საქმეთა სამინისტროში მომხდარ ცვლილების შემდეგ უნდა ველოდეთ, რომ საგლეხო საქმის პირობებიც გამოიცვლებაო. სამინისტროს პროექტის შესახებ გეიდენმა სთქვა, იგი ყოვლად უვარგისიაო. თვით სამინისტროც გრძნობდა ამას და როცა თავისი პროექტი გუბერნატორებს გაუგზავნა, კრიტიკის პროგრამმაც გაჰყოლა, წინდა-წინვე აღნიშნა, რა გვარი კრიტიკა ესაჭიროებოდა. ამგვარი პროექტი კრიტიკულად განხილვის ღირსი არაა, ახალი პროექტი უნდა შემუშავებულ იქმნასო.

წერილები

ბაქო. დაიწყო ბაქოში სხვა-და-სხვა საქველმოქმედო კონცერტების გამართვა და აქაური ქართველებიც შეუდგნენ თადარიგს ქართულ საღამოს გასამართავად „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ.

28 ნოემბერს მოხდა აქაურ ახალ ქართულ საზოგადოების დამფუძნებელთა კრება, რომელმაც აარჩია ამ საზოგადოების გამგეობის წევრები. ხმის უმეტესობით კრებამ აარჩია შემდეგი პირები: ა. გელოვანი, თავ. დადიანი, ი. მანსვეტაშვილი, ი. ელიაშვილი. ბ. კვიტაშვილი, ლ. მამულაიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ნ. მიქელაძის ასული და ლ. გრიგოლაშვილი. არჩევნების გათავების შემდეგ კრებამ ამავე გამგეობას დაავალა: იზრუნოს „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ საღამოს გამართვისთვის. აქაური ქართული საღამო, როგორც მოგეხსენებათ, ყოველ წელს სათვალჩინო შემოსავალს აძლევს „საზოგადოებას“. იმედი უნდა ვიქონიოთ, ახლად არჩეული გამგეობა ერთგულად მოეკიდება საქმეს, საინტერესო საღამოს გამართავს და დიდ საზოგადოებას მიიზიდავს.

გ. წყალტუბელი

ს. ჩიბათი. (გურია). ეს ორი წელიწადი იქნება, რაც ს. ჩიბათში არსებობს ორ-კლასიანი სასწავლებელი. ამ სასწავლებელში ყოველ წლივ ბევრი მოსწავლეა. წელს სწავლობს 250 ბავშვზე მეტი. ყოველ წლივ ჩიბათის საზოგადოება იხდის: სამი მასწავლებლის ჯამაგირს, შეშისას, ნავთისას, მოსამსახურე კაცისას და სახლის ქირას. რომ იოლად გამოვიდეს სოფლის მამასახლისი, ქირაობს ერთ მოსამსახურე კაცს, რომელიც მსახურებს სკოლაშიაც და სოფლის სასამართლოშიაც. ერთი კაცი ვერც იქ ემსახურება და ვერც სკოლას, და მასწავლებელნი ბევრჯელ მინახავს სიცივისაგან შეწუხებულნი. ქირაობენ ისეთ შენობას სკოლისათვის, რომ თამამად შეიძლება კედლის ჭუჭრუტანებში ხელი გაჰყო, ეს საქმე ჩაბარებული აქვთ ვექილებს. მაგრამ ეს ვექილები სკოლისთვის ყურსაც არ იბერტყავენ.

ხ. დონ—ენ.

ს. ქედა (ქვემო აჭარა). გადმოცემით ეს ის „ქედია“, რომელიც ძველად „ავთანდილს“ გადაუნადირნია (ბათუმიდან ახალციხის გზით 38 ვერსია). რადგან აქ ყველა ქვემო აჭარის დაწესებულებაა მოთავსებული, თავ სოფლად ითვლება. აქაურები ქალაქსაც უწოდებენ: ეს ჰქონიათ და აქვთ სავაჭრო ადგილად. თუ რაიმე ახალი დაწესებულობა იქმნა საჭირო, უთუოდ ქედაზე მიათითებენ ყველანი და არავითარი მხარეობითი მიწევ-მოწევა არ მიახდება. ქედას წმინდა ადგილსაც ეძახიან, რადგან ქვემო აჭარის მთავარი ჯამე (სალოცავი) აქ არის აშენებული, სადაც მაღალ განათლების მიღებული ხოჯაც ჰყავთ მიწვეული და ყოველ პარასკევობით ათასობით მლოცველებიც იკრიბებიან, დიდის [illegible] ისმენენ როგორც ლოცვას, ისე ქადაგებასაც, თუმცა საეჭვოა, რომ ეს მსმენელთათვის გასაგები იყოს, რადგან არა თუ არაბული, ზოგიერთმა ოსმალურიც არ იცის. აქაური მაჰმადიანები მესამე საუ[illegible] ორ ცეცხლშუა არიან. თითვეულმა საკმაოდ კარგად იცის თავისი ძველი ისტორია და ახალს გვარს უთუოდ ძველსაც წამოაბამს. დიდი რამ გაჭირვება უნდა ჰქონდეს, რომ აქაურმა მაჰმადიანმა თავისი ქართული გვარი უმალოს. აქ გაიგონებთ თითქმის ყველა, ქართულ გვარს. აქაურები, ქალი თუ ვაჟი, ზნითა და ჩვეულებით მოგაგონებენ იმ დროს, რომელიც 40 წლის წინად იყო საქართველოს ზოგიერთ კუთხეში. ბევრით არც ეხლა ამაზე ტანადობა, ზრდილობა, თავაზიანობა, ძმობა და თავგანწირული ამხანაგობა აქ უფრო შენახული. ბუნების ნამდვილი შვილები ესენი არიან: უდარდელნი, უზრუნველნი და უშრომელად ნეტარების მომპოვებელნი. მამაკაცი აქ ნამდვილი მეფეა. მთელი ოჯახობა იმასა ცდილობს, რომ მამა-კაცს ჰქონდეს სასურველი და შესაფერისი მდგომარეობა. მაგრამ შინ მნიშვნელობა-გავლენიანობა ჯერ ისევ დედაკაცს აქვს, რომელიც მეცადინეობს, ზნე-ჩვეულება და სჯული მტკიცედ დარჩეს ოჯახში, მოზარდთა შორის. მთელი შრომა თითქმის მხოლოდ დედაკაცსა და ბავშვებს აწევთ. ამ დროს მამაკაციც თან-და-თან ეჩვევა შრომას და ეთხოვება ფრინველურს უზრუნველობას. დღე-დღეზედ ჰქრება ის დრო, როცა იმის ღირსებად ითვლებოდა თოფ-იარაღი და იმის სწრაფად მოხმარება.

სკოლაა საჭირო. მთელს ქვემო აჭარაში, რომლის სივრცე 2000 ოთხკუთხიან ვერსს უდრის და 15 ათასამდე მცხოვრებია, მხოლოდ ორი სამინისტრო სკოლაა. თითოში 20—40 მოსწავლეა ორსავე სქესისა, მაგრამ მაჰმადიანები (მოწაფენი) წელიწადში მხოლოდ 2—3 თვე დადიან სკოლაში და ისიც დღე გამოშვებით. დანარჩენს დროს ყანის და სხვა მუშაობას ახმარებენ, რადგან, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, უმეტესი საოჯახო შრომა დედაკაცებს და მოზარდებს აწევთ.

როგორც აქაურები ჰხსნიან, თათრული სიტყვა „აჭარა“ ნიშნავს „მშიერს ქვეყანას“ და კიდევაც არ უნდა იყოს ტყუილი. ქედაში ეს ერთი წელიწადია არსებობს სასოფლო სამრეწველო შემნახველ-გამსესხებელი ბანკი, რომლის დანიშნულებაა არის, რომ მცხოვრებთ დაეხმაროს.

ქ. მკურნალი.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

2 დეკემბერი

ხუანშანი, 28 ნოემბერი. 25 ნოემბერს ცზანგანვალიხოსთან იაპონელთა ორმა როტამ მიიტანა იერიში, მაგრამ უკანვე დაპრუნდა ხანმოკლე სროლის შემდეგ. ლაოჩენგოულინთან მომხდარ შეტაკების დროს დაკარგულ ოთხ ყაზახიდან სამი 25 ნოემბერს დაბრუნდა. 26 ნოემბერს ტყეს სჩეხდნენ. იპოვნეს ტანისამოს გახდილი იაპონელთა 26 გვამი.

ხუანშანი, 29 ნოემბერი. 27 ნოემბერს ჩვენმა არტილერიამ დაუწყო სროლა იაპონელებს სოფ. ანგაზასთან მუშაობის დასაშლელად და გასაფანტად იაპონელთა ორი როტისა, რომელიც ეგრედ წოდებულ სალოცავ გორაზე გამოჩნდნენ. ორი როტა უკან დაბრუნდა 28 ნოემბერს, ღამე მზვერავნი მივიდნენ სოფ. სინლუნ-დიანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ, მივიდნენ მავთულის სიმაგრეებამდე და უკანვე დაბრუნდნენ. დღეს ყინვა 15 გრადუსია.

ჩანსიამუტუნი, 30 ნოემბერი დღეს 20 გრადუსი ყინვაა. იაპონელთა შორის კუჭის ავადმყოფობა გავრცელდა, რომელიც, როგორც სჩანს, გადამდებია. ლიაოიანში ყოველ დღე 30 კაცამდე კვდება. რუსეთიდან მომავალ ჯარს საკმაოდ აქვს თბილი ტანისამოსი. რადგან შეშა ნაკლებად აქვთ, მიწურებს გაოლიანით ათბობენ. 21 ნოემბერს ძლიერი სროლა, რომლის შესახებ დეპეშა იყო გაგზავნილი, იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ იაპონელებმა იერიში მიი-

---

ლიტიკური პარტია,*) არამედ როგორც პარტია, რომელიც იცავს პროლეტარიატის პროფესიონალურ ინტერესებს, ე. ი. საშინლად გამრავლდა პროფესიონალური კავშირები და სხვა... ამ რიგად პარტიამ მუდმივ ბრძოლით მოქალაქობრივი უფლებები მოიპოვა.

დასის ასეთმა სწრაფმა ზრდა-განვითარებამ შესამჩნევად შესცვალა პოლიტიკურ დამოკიდებულებათა სურათი. თუ წინად მას საზოგადოებრივ აზრზე არავითარი გავლენა არა ჰქონდა, თუ წინად მისი შევიწროება დიდ პროტესტს არ იწვევდა, სამაგიეროდ ახლა დადგა მისთვის „ოქროს ხანა“: დღეს იგი დიდი საზოგადოებრივი ძალაა, რომლის მძლავრი ხმა არ რჩება ხოლმე „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“, რომლის მოთხოვნილებებს ბიუროკრატიულ მთავრობამაც ძალაუნებურად უნდა ათხოვოს ყური; დღეს იგი დიდი მებრძოლი რაზმია, რომლის ყოველი ნაბიჯი შიშის ზარსა ჰგვრის ბნელ ძალებს. იმის მეტის-მეტ მხნეობას ვერ უარჰყოფენ თვით თანამედროვე მმართველნი: ამ რამდენისამე ხნის წინად, მაგალითად, კანცლერმა საჯაროდ განაცხადა რეიხსტაგში: ჩვენი სოციალ-დემოკრატები ისეთის გატაცებით და თავ-გამოდებით იბრძვიან თავიანთი იდეებისათვის, რომ ამ მხრივ მათ ხოტბა ეკადრებათო!.. თუ წინად განსაკუთრებულ კანონების შემოღება ძნელი არ იყო, თუ მთავრობა ამ შემთხვევაში ბევრს არ უყოყმანობდა, ახლა დიდი შიშით ამბობენ ხოლმე რეპრესიებზე. კონსერვატორებს სამართლიანად ეშინიანთ ასეთის ზომებისა, რადგან არ ავიწყდებათ ისტორიული გაკვეთილი, რადგან ცხადად იციან, როგორ გააძლიერებს, როგორ წასწევს წინ ასეთი ზომები პარტიას. როდესაც მთავრობა ყველასათვის ადვილად დასანახ შეცდომებს სჩადის, კონსერვატორები გულდაწყვეტით გაიძახიან: ჩვენი მთავრობა ისე მოუფიქრებლად მოქმედებს, თითქო სურდეს ოპპოზიციის გამრავლებაო.

მაგალითად, ერთ პატარა ქალაქში ამ რამდენისამე თვის წინად გაირჩა ერთი შესანიშნავი საქმე, რომელმაც მთელის ევროპის ყურადღება მიიპყრო და რომელმაც ძლიერ აღელვა თითქმის მთელი საზოგადოება, განურჩევლად მიმართულებისა. ამ პროცესის დროს პრუსიის მთავრობის ბევრი სიყალბე გამოაშკარავდა, ბევრი საზიზღარი ფაქტი დამტკიცდა. ამ შემთხვევაში შეუძლებელი იყო მისი დაცვა და ამიტომაც კონსერვატორები თითქმის ტირილით ამბობდნენ: რას სჩადის ჩვენი მთავრობა, როგორ ითხრის თითონ სამარეს, ნუ თუ დარწმუნებული არ არის, რომ სოციალდემოკრატები ყველაფერს გამოამჟღავნებენ და სხვ. კონსერვატორები ახლა სულ სხვა საშუალებით ჰფიქრობენ ბრძოლას. ისინი უკვე დარწმუნდნენ, რომ შეუძლებელია პოლიტიკურ ზომებით საზოგადოებრივ მოძრაობასთან ბრძოლა და ახლა უფრო კულტურულ საშუალებას მიმართეს: აარსებენ დიდ ქალაქებში სხვა და სხვა გვარ საზოგადოებებს, რომელთაც აზრადა აქვთ დაუმტკიცონ მუშათა კლასს, რომ იმის ეკონომიურ ინტერესებს მთავრობა დაიცავს, რომ სოციალ-დემოკრატია მუშებისთვის საჭირო არ არის და სხვა. ამას წინად თვით ცნობილმა გრაფმა პოზადოვსკიმ (შინაგან საქმეთა მინისტრმა) იკადრა მუშების მოწვევა, რომელთაც ესაუბრა მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკაზე. გრაფი, რა თქმა უნდა, ბევრ რამეს დაჰპირდა მუშებს, რეფორმები აღუთქვა, მაგრამ თვით და თავად იგულისხმება, რომ ასეთი დაპირებანი ვერ ააცდენენ გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატს ერთხელვე არჩეულ სწორ გზას, საყურადღებო სწორედ ის არის, რომ მთავრობაც სულ სხვა ჰანგზე აპირებს მღერას და „შინაურ მტრების“ წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკას სცვლის. ერთის სიტყვით, მუშათა დასს ამ ჟამად სულ სხვანაირი პრინციპი უჭირავს: ის ეხლა ძლიერი, გავლენიანი პარტიაა და ამიტომაც მთავრობაც სხვაგვარ უყურებს, ამიტომაც სხვა პოლიტიკური პარტიებიც მასთან სხვა დამოკიდებულებაში არიან. აღსანიშნავია ის სასიამოვნო გარემოებაც, რომ პროგრესიული დასი—თავისუფლად მოაზრენი სცდილობენ სოციალ-დემოკრატებთან დაახლოვებას და დაკავშირებას. თუ წინად ესენი გაიძახოდნენ, რომ მუშათა დასს უტოპიური მიზანი აქვს დასახული, რომ ის ხშირად ჰაერში ფრინავს და სხვ., ახლა იმათი მესვეურნი კიდეც და პირდაპირ აღიარებენ, რომ მათ ბევრი რამ აერთებს, რომ მათი თანხმობით მოქმედება შესაძლებელიაო. ამ ბოლო დროს ბევრი კომპლიმენტები ისმის იმათგან. ისინი ნათლად აღიარებენ დასახელებულ დასის დიდ ღვაწლს გერმანიის ერის წინაშე *). „სოციალ-დემოკრატები არ არიან ჩვენი პირადი მტრები,—სწერს ერთი ლიბერალი,—ისინი ჩვენი თანამემამულენი არიან, ისინი გერმანელები არიან... ჩვენ ბევრი საერთო მტრები გვყავს, ერთმანეთისა არ უნდა გვეშინოდეს“.

ზემოდ მოხსენებულ პროცესის გათავების შემდეგ, როდესაც მთელი პრესსა მუშათა პარტიის შესახებ ალაპარაკდა, ლიბერალურმა პრესსამ ერთხმად აღიარა სოციალ-დემოკრატია გერმანულ კულტურის დამცველად, რაც ფრთხილ ლიბერალებისაგან დიდ კომპლიმენტად უნდა ჩაითვალოს (დემოკრატებისა და ლიბერალების დაახლოვების საქმეს განსაკუთრებით ესარჩლება ევროპაში კარგად ცნობილი, ფრიად სერიოზული და გავლენიანი გაზეთი „Frankfurter Zeitung“). ამ ბოლო დროს იმათაც ეტყობათ მარცხნივ დაწევა...

ამნაირად მუშათა პარტიას გერმანიაში სულ სხვა ნაირად უცქერიან, სულ სხვა საზომით ზომავენ, იმის ღვაწლს, იმის ძალას ვერ უარ-ჰყოფენ. იგი ღონიერია და როგორც ამნაირს საზოგადოებრივ აზრზედაც დიდი გავლენა აქვს: მის მიერ წამოყენებულ საკითხებს დიდის ყურადღებით ისმენენ, იმის ყოველ ნაბიჯს დიდის ინტერესით იკვლევენ. ყოველ წლიური პარტიული კონგრესსები ხომ მთელ ეპოქას შეადგენენ გერმანიის ჟურნალისტიკაში! ცხადია, რომ ის დიდი კითხვა, რომელიც ახალმა დრომ წამოაყენა და რომლის გადაწყვეტის საქმეს ასე გატაცებით ემსახურება გერმანიის დემოკრატიული დასი, მართლაც სერიოზული, მართლაც ჩვენი დროის საკითხი ყოფილა. ცხადია ისიც, რომ არავითარ გარეგან ძალას, არავითარ შინაგან უთანხმოებას არ შეუძლიან მოსპოს ის კულტურული მოძრაობა, რომელიც ერთის მხრივ გამოწვეულია თვით ისტორიულ აუცილებლობისაგან და რომელიც ამავე დროს შეესაბამება უმაღლეს ზნეობრივ პრინციპებს. ეს კულტურული მოძრაობა აახლოვებს ადამიანის სულიერ განთავისუფლებას, ნიადაგს ამზადებს ახალ, მთელ ადამიანთა საზოგადოებისათვის, ეს მოძრაობა აახლოვებს იმ საუცხოვო, მშვენიერ მზის შუქს, რომელზედაც ასე ბევრს ოცნებობდნენ დიდი ენტუზიასტები... და სწორედ ამიტომ შეუძლებელია მისი შეჩერება!..

ივ. რამიშვილი

ფრაიბურგი.

---

*) თუ როგორ იზრდებოდა რეიხსტაგში მუშათა პარტიის წარმომადგენელთა რიცხვი, ნათლად სჩანს შემდეგის ციფრებიდან:

1871 წ.	იყო	2	წარმომადგენელი,	124,700	ხმა.
1874 „	„	9	„	352,000	„
1877 „	„	12	„	493,300	„
1878 „	„	9	„	437,600	„
1881 „	„	13	„	312,000	„
1884 „	„	24	„	550,000	„
1887 „	„	11	„	763,100	„
1890 „	„	35	„	1,427,300	„
1893 „	„	44	„	1,786,738	„
1898 „	„	56	„	2,100,000	„
1903 „	„	81	„	3,000,000	„

*) იხ. ამის შესახებ სხვათა შორის ცნობილი ბარტის წიგნაკი: Neue Aufgaben des Libhralismus. 1904.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უებ მოწინავე სადარაჯო რაზმებზე რკინის გზის ახლოს. იაპონელთა ქვეითა ჯარმა რამდენჯერმე მიიტანა იერიში, მაგრამ 200 ნაბიჯზე უფრო ახლოს ვერ მოვიდა. სანგრებიდან თოფების სროლამ და ყუმბარებმა უკან დაახევინეს. დილამდის იაპონელთა ყველა იერიში მოგერიებულ იქმნა. რუსების ზარალი მცირეა. იმავე ღამეს მარცხენა ფრთაზე დაატყვევეს 11 იაპონელი.

ლონდონი, 2 დეკემბერი. აქაური იაპონიის საელჩო ოფიციალურად აცხადებს, რომ თანახმად საზღვაო არტილერიის უფროსისა 20 ნოემბერს ყუმბარებს უშენდნენ „ტიგროვაია ხვოსტ“-ზე თოფის წამლისა და ნაღმის საწყობებს და „ტიგროვაია ხვოსტ“-ის ახლო მდგარ გემებსა და ნავებს. საწყობს ერთი საათის განმავლობაში ცეცხლი ეკიდებოდა. ნავთ-სადგურ გარედ მდგარ გემ „სევასტოპოლ“-ზე ყუმბარების სროლა შესწყვიტეს რადგანაც ცუდი დარი უშლიდა თვალ-ყური ედევნებინათ ჯავშნიან გემისათვის.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

2 ნოემბერი

მუკდენი (საკ. კორ.). იაპონელთა ტრანსპორტები მოდიან. ამ ქალაქში ბევრი გადასახადები შემოიღეს. ფანჯრებზედაც დააწესეს გადასახადი, ჩინელმა ვაჭრებმა გააუქმეს ვაჭრობა და ჩრდილოეთ-მანჯურიაში მიდიან.—ხუნხუზთა ბელადები ამტკიცებენ, ლიაოხეს ხეობაში ათი-ათასი ხუნხუზია, რომელთაც იაპონელი ოფიცერი უფროსობსო. ხუნხუზთა უფროსს ედდოფილი მფარველობს. —ტიანძინში უცხოელი ოფიცერი აღტაცებულნი არიან პორტ-არტურის დაცვით და მხოლოდ ის უკვირთ, თუ რით ააფეთქეს „რასტოროპნი“, რომელსაც მთელი დღის განმავლობაში თავისუფლად შეეძლო ზღვაში გასვლა.

დაშიჩაო, (საკ. კორ.). პირველ დეკემბერს პეტარა სოფელში, სადაც ვიბორგის პოლკი დგას, წმ. გიორგის ჯვრის დღესასწაული გადაიხადეს. პარადის შემდეგ წმ. გიორგის ჯვრის კავალერებს დაურიგეს საჩუქრები, რუსეთის თავად-აზნაურისაგან გამოგზავნილი.

მოსკოვი. გრაფინია კომაროვსკაია ამბობს, რომ ამ ჟამად ხარბინში 22 საავადმყოფოა; თვითეულში 180 ლოგინია და თითო განყოფილება ოფიცრებისათვის. საავადმყოფოებში ორ-ორი მოწყალების დაა, რომელთაც მეტად მძიმე სამუშაო აქვთ. საავადმყოფოები სავსეა.

ხუანშანი, 2 დეკემბერი (საკუთ. კორ.). პოზიციებზე სიწყნარეა. ოცი გრადუსი ყინვაა. როგორც სჩანს, მეტად ცივი ზამთარი იქნება. არმიას დიდ-ძალ ნახშირს უგზავნიან.

ადენი, 1 დეკემბერი („რეიტერი“). ფელკერზამის რაზმი ჯიბუტში დარჩება ესკადრის დანარჩენ რაზმის მოსვლამდის.

ათინა, 1 დეკემბერი. „ლოიდი“ იუწყება, რომ რუსის ნაღმიანი გემი „გროზნი“ პირეს მოვიდა.

კანეა, 1 დეკემბერი („რეიტერი“). მოვიდა ბალტიის ესკადრის სამი კრეისერი.

ტოკიო. 1 დეკემბერი, („რეიტერი“). ტოგო იუწყება, რომ იაპონელთა ნაღმიანმა გემებმა რამდენჯერმე იერიში მიიტანეს „სევასტოპოლ“-ზე 29 ნოემბერს შუა-ღამემდის. რუსებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. აფეთქებულ ნაღმების შედეგი არ იციან.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა აღმოსავლეთ ციმბირის მე-11 პოლკის მღვდელს, რომელმაც ტიურენჩენის ბრძოლაში მამაცობა გამოიჩინა, წმიდა გიორგის მეოთხე ხარისხის ჯვარი.

კაპშტადტი, 1 დეკემბერი („რეიტერი“). სვაკოპმუნდიდან მოსული დეპეშა იუწყება, რომ ბალტიის ესკადრა 28 ნოემბერს ანრიპეკვენში მივიდა. ირწმუნებიან, რომ ესკადრა იღებს ნახშირს ნახშირის ტრანსპორტებიდან შერვასერის ბუხტაში. 29 ნოემბრის თარიღით მოსულ დეპეშაში აღნიშნული გემები უსათუოდ ნახშირის ტრანსპორტები იქნებოდა.

ჩიფუ, 1 დეკემბერი („რეიტერი“). იაპონელებმა თავიანთი აგენტები, ზღვის ოფიცრები და სხვანი გაჰგზავნეს სამხრეთისაკენ, რომ ზომები მიიღონ და ბალტიის ესკადრის მოსვლას თვალ-ყური ადევნონ. რამდენიმე ჟურნალისტი თან წაჰყვა იმათ. იაპონიის ჯავშნიანმა გემმა, ეტყობა „მიკაზა“-მა და ერთმა კრეისერმა გუშინ ნახშირი მიიღეს სამის ტრანსპორტისაგან კუნჩხის ყურეში შანტუნის კონცხის სამხრეთით. „ნისინი“ და „კასუგა“-ც ასევე დაიტვირთნენ ნახშირით და ზღვაში გავიდნენ. გემზე მოსამსახურეებს ცხელ ქვეყნების ფორმის ტანისამოსი აცვიათ.—ირწმუნებიან, ვლადივოსტოკის ნავთ-სადგური ჯერ კიდევ გაყინული არაა.—ექვსი გემი ნახშირითა და სხვა სურსათით იტვირთება შანხაიში ბალტიის ესკადრისათვის.

შანხაი, 1 დეკემბერი („რეიტერ.“). ირწმუნებიან, იაპონელებმა ხელ ახლად განაახლეს ა იერიშიო.

ლონდონი, 2 დეკემბერი („რეიტერი“). იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა დეპეშა 1 დეკემბრის თარიღით მიღებული ტოკიოდან: „საზღვაო არტილერიის უფროსი იუწყება, 30 ნოემბერს უმთავრესად ვეფხვის ნახევარკუნძულზე არსენალსა და ნაღმის საწყობს ვუშენდით ზარბაზანს. ვესროდით აგრეთვე საწყობის ახლო მდგომ გემებსაც. მერე რეიდზე მდგომ „სევასტოპოლ“-საც დავუშინეთ ზარბაზანი, მაგრამ ცუდი ამინდის გამო მარჯვეთ ვერ ვუმიზნებდით და სროლა შევსწყვიტეთო“. ადმირალი ტოგო იუწყება, ნაღმიან გემების ფლოტილიამ 29 ნოემბერს ღამით ორჯელ და 30 ნოემბერს სამჯერ მიიტანა იერიში „სევასტოპოლ“-ზე. იერიშის შედეგი ჯერ გამორკვეული არაა. ნაღმიან გემებს საშინლად უშენდნენ ზარბაზანს რუსები. ერთი ნაღმიანი გემი დაზიანდა და ბუქსირით წავიყვანეთ. სამ სხვა გემს თითო ყუმბარა მოჰხვდა. სამი კაცი დაგვიჭრეს.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა 30 ნოემბერს: „მოხსენება შეტაკების შესახებ არ მოსულა. 28 ნოემბერს ღამით სოფ. სიაგდხიაზიდან, სახეპუს დასავლეთით ნახევარ ვერსის მანძილზე გაგზავნილ იქმნა მზვერავთა რაზმი იმ ადგილას, სადაც დღისით ჩვეულებრივად იაპონელთა რაზმი ჩასაფრებული. მზვერავთა უფროსმა უნტერ-ოფიცერმა ზავარზინმა შეამჩნია, 15 იაპონელი იმათ გარშემორტყმას აპირებს. ჩასაფრებულმა რუსებმა მოუშვეს ახლოს იაპონელები და დაუშინეს თოფები. დასჭრეს 6 კაცი და იაპონელები გაიქციეს. ჩვენი ჩასაფრებულები უკან გამოუდგნენ, მაგრამ მტერი, რომელიც თხრილებში იყო ჩასაფრებული, საშინელის თოფის სროლით დაუხვდა და ჩვენი რაზმი იძულებული შეიქმნა უკუქცეულიყო. რუსებმა ოთხი თოფი წაართვეს იაპონელებს. ჩვენ დაგვიჭრეს მსუბუქად უნტერ-ოფიცერი ზავარზინი. მზიანი დღე იყო, ცოტათი ქარი ჰქროდა. ყინვა 12 გრადუსამდის იყო“. — გენერალ-ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს 1 დეკემბერს: „მოხსენება შეტაკების შესახებ 1 დეკემბერს არ მოსულა. მზიანი დღე იყო; ქარი არ ქროდა ყინვამ 17 გრადუსიდან 8-მდის დაიკლო“.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

1 დეკემბერი

ყაზანი, 1 დეკემბერი. 29 ნოემბერს გაგზავნილ დეპეშაში უნდა გასწორებულ იქმნას შემდეგი სიტყვები: „ამ დროს თავმჯდომარე ატირდა“; ამ სიტყვების მაგიერ უნდა დაიწეროს: „ამ დროს ბევრნი ტიროდნენ“.

პეშავერი, 1 დეკემბერი. 29 ნოემბერს მოვიდა ქაბულს ინგლისის მისსია.

ქრისტიანია, 1 დეკემბერი. იბსენი, რომელსაც ამ ბოლო დროს გულის წუხილი მოსდიოდა, სრულებით მოკეთებულია.

ვენა, 1 დეკემბერი. იმპერატორი იყო რუსეთის საელჩოში და პირადად გამოუცხადა სამძიმარი გრაფის კაპნისტის ქვრივს ქმრის გარდაცვალების გამო.

ეკატერინოსლავი, 1 დეკემბერი. საბჭომ დაადგინა გაუგზავნოს იუსტიციის მინისტრს შემდეგი დეპეშა: „ამას წინად შესრულდა 40 წელიწადი სასამართლოს წესდებათა შემოღების შემდეგ. ეკატერინოსლავის ქალაქის საბჭო მოგმართავს თქვენ, როგორც რუსეთში სასამართლოს უმაღლესს ხელმძღვანელს, და მხურვალე სურვილს აცხადებს, რათა 1864 წლის სასამართლო წესდებებში გამოცხადებული და შემდეგ თითქმის გაუქმებული დიდებული პრინციპები განახლებულ იქმნან იმ სახითვე, როგორც ისინი განზრახულ და განხორციელებულ იქმნენ ცხოვრებაში მათ დაუვიწყარ შემომქმედთა მიერ.“

პეტერბურგი. დაინიშნა ლიბავის ციხის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი კრშივიცკი ვილნოს სამხედრო ოლქის ჯარების უფროსის თანაშემწედ.

მადრიდი, 1 დეკემბერი („ჰავასი“). მთელი სამინისტრო სამსახურიდან გადადგა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 30 ნოემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,30
ლონდონისაზე ჩეკები	94,45
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	—
ბირჟის დისკონტი	$6,7^{1}/_{2}\%$
4% სახელმწიფო რენტა	$91^{1}/_{2}$
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
$4^{1}/_{2}\%$ შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	$89^{3}/_{8}$
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	422
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	316
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	266
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
$4^{1}/_{2}\%$ ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
$4^{1}/_{2}\%$ გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	240

მიმოსვლა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს 51 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19
ღია არის დილით 10—2 საათ
„ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში —60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, ყოფილი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს მგე: ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტ[illegible]ისა. გამგე ექიმი მირაქოვი.-

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელ[illegible]მოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლებში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სნებით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

მაღაზია ტფილისში

კ. დ. კოზახიძისა

(შუა-ბაზარში, სოლომონოვის ქუჩის კუთხეში). მიღებულია დიდ-ძალი საეკლესიო ნივთები, ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვალეულობა. მსურველს გაეგზავნება საქონელი ფას დადებითაც, მხოლოთ უნდა გამოგზავნოს მანეთზე 15 კაპ. ბეთ. მღვდლებს-კი გაეგზავნებათ უბეოდ, მხოლოთ წერილი უნდა იყოს შემოწმებული საეკლესიო ბეჭედით. საქონელი გაეგზავნებათ იაფ-ფასათ. (20—5.—18)



СѢДЕЛЬН,
СПЕЦІЯЛЬН
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, სახაზინო სობრანიის ახლოს. (წ.—176—88.

(წიგ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა)

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაზნისა	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მედანაისა	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
ითელის კუნწულა, დ. მაზხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტოსისა	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება, პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისგე	1	50
ტყემლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	80
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ჯანგულაშვილისა	1	—

ახალი გახსნილი

სასტუმრო **არკადია** ნომრებით

(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავით, ჰიქარაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და [illegible] აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—52—77)

გამოვიდა და იყიდება ყველგან

ნაწერები ს. მესხისა

გამოცემა ს. ფირცხალავასი

ტ. 1. ფასი 1 მან.

საწყობი „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მაღაზიაში.

ქუთა

სამ. ბ.

სამკურნა

რომელიც იმყოფება მთის პრინც ალექსანდრე ოლდენბუ რველობის ქვეშ. სამკურნალო წოლია შინაგან, ნერვებისა, საშ დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, ბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სნებით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნება.

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ი. ს. ანანოვის მემკვიდრეთა

აჯამეთის მამულში იყიდება:

1) დარჩეული ნამყენი ადგილობრივის და ევროპიულის ჯიშისა,

2) ამერიკულ ვაზის ლერწი სხვა და სხვა ჯიშისა: Rupestris mont., Riparia gl. და Ripariax Rupestris 101^{14}.

3) ფესვიანი ნერგები ამერიკულ ჯიშის ვაზებისა.

ადრესი: Ст. Аджаметы З. К. Ж. Д. Управляющему имѣніемъ А. М. Татевосяну. (15—9)

ტფილისში ტანისამოსის მკერავი

ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთული ტანისამოსის შესაკერავად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მხრალ, კარგათ** და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია.** ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—6)

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან. ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მ. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მან. შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ. მცირე ყრმათა—15 კაპ. რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(0—ფ.27) ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო სახებისა. ტელეფონი № 679. (0—191)

1905 г. ТАРАЗЪ XVI г.

Художественно-литературно-научно-критическій еженедѣльный, единственный иллюстрированный на армянскомъ языкѣ журналъ ТАРАЗЪ въ 1905 г. будетъ выходить по той же разнообразной и широкой программѣ, какъ прошедшіе XV лѣтъ. Цѣль, направленіе и стремленіе ТАРАЗА—распространеніе среди армянъ правильныхъ взглядовъ на КРАСИВОЕ, ДОБРОЕ И ПОЛЕЗНОЕ.

Литература, Наука, Искусство, Воспитаніе, Критика составляютъ основу журнала ТАРАЗЪ. Газетные отдѣлы ТАРАЗА—Правит. распоряженія, Телеграммы, Корреспонденціи со всѣхъ угловъ Кавказа, Закавказа, Закаспійскаго края, равно съ умствен. промышл. центровъ Имперіи, заграницы и пр. дѣлаютъ ТАРАЗЪ необходимымъ органомъ печати для всѣхъ слоевъ общества, а отдѣлы Гигіена, Развлеченій, Домашняго Хозяйства, Модъ, Музыки и т. д.—популярнымъ изданіемъ во всѣхъ семействахъ. Годовая плата ТАРАЗА съ пересылкою и доставкою 6 р. заграницу 10 р. Отдѣльные №№ 20 к. Подписчикъ ТАРАЗА, который выпишетъ и еженедѣльн. жур. АГБЮРЪ, доплачивая 1 р. получитъ премію.

Адресъ: Тифлисъ, Редакція жур. ТАРАЗЪ.

Tiflis, Caucase, Redaction de la Revue TARAS.

Редакторъ-издатель Т. Я. Назарьянъ

1905 г. АГБЮРЪ XXIII г.

Иллюстрированный на армянскомъ языкѣ, единственный журналъ АГБЮРЪ для дѣтей, родителей и наставниковъ.

Задача журнала АГБЮРЪ—правильное воспитаніе и обученіе подрастающаго поколѣнія, любовь къ природѣ, наукѣ и къ ближнему. Богатая программа журнала АГБЮРЪ даетъ полную возможность редакціи широко и многосторонне обхватывать вопросы, интересующіе подрастающее поколѣніе и ихъ родителей—наставниковъ. Годовая плата жур. АГБЮРЪ 3 р, заграницу 5 р. Премію получаютъ лишь тѣ изъ подписчиковъ АГБЮРЪ, которые одновременно запишутся и на художественно-литератур. еженедѣльный нашъ жур. ТАРАЗЪ.

Адресъ: Тифлисъ. Редакція жур. АГБЮРЪ.

Tiflis, Caucase, Redaction de la Revue „AGBUR.“

Редакторъ-издатель Т. Я. Назарьянъ.

Дозволено цензурою, 2 декабря 1904 г.

სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—სა“.

Электроп. „Груз. Изд. Т—ва.